გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 27
(11 893)

12 – 14 აპრილი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:





- სფფ პანიკას არ ექლევა
- გოგიტა გოგუა ახლო პლანით
- საფეხბურთო ევროპა
- გასქოინი მეორდება?..
- ფიშერი ჭადრაკს უბრუნდება?
- იტალიამ ზამთრის ოლიმპიადის ნაკრები დაასახელა
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




## ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **საქართველოს სუმოს ფედერაციის** ცნობით, 29 აპრილს დილმის სპორტულ კომპლექსში ჩატარდება საქართველოს მესამე ჩემპიონატი სუმოში. პირველი ჩემპიონატი გაიმართა 1999 წელს, მეორე — 2000 წელს.

◆ **ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია** იუწყება, რომ 8 აპრილიდან ოფიციალურად გაიხსნა ფედერაციის პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანია. უმალვე გამოჩნდა პირველი კანდიდატი — პარლამენტარი **კახაბერ გეწაძე**, სავარაუდოდ სახელდება კიდევ ორი კანდიდატურა — პარლამენტარი **ვალერი გელაშვილი** და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **თემურ ყაზარაშვილი**. კანდიდატებს განცხადების შეტანის უფლება აქვთ 29 აპრილამდე. ყრილობა 4 მაისისთვისაა დანიშნული.

◆ **ვარნაში დღეს იწყება** ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** რჩეულთა შორის რჩეულები წაიყვანა ჩემპიონატზე. ესენია: **ბესარიონ გუჩაშვილი (55 კგ), კობა კაკალაძე (60), შალვა მუზიაშვილი (66), დავით ახალმოსულიშვილი (74), რევაზ მინდორაშვილი (84), ელდარ კურტანიძე (96) და დავით ოთიაშვილი (მძიმე).**

16-17 აპრილს კი კონტინენტის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნებისთვის დაიწყება. მთავარი მწვრთნელის **ბეგი დარჩიას** რჩეულები არიან: **მირიან ნიშნიანიძე (55), დავით ბედიანიძე (60), ელიზბარ მაჭუტაძე (66), მანუჩარ კვირკველია (74), ბადრი ხასაია (84), გივი მორჩილაძე (96) და მირიან გიორგაძე (მძიმე).**



კალათბურთი | ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## სტუ, „ავიამშენი“ და „დინამო“ ურყევად ლიდერობენ

მოხდა ისე, რომ ვაჟ კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება ლიდერთა სამეულში. ამ ტრიოდან ვერც ერთმა ვერ მოახერხა დღემდე სოლიდური სხვაობით წინ გაჭრა. სტუ, „ავიამშენი“, „დინამო“ — აი, ეს სამეული. 26-ე ტურში სამივე ლიდერმა თავის სასარგებლოდ დაამთავრა შეხვედრა მეტოქეებთან და ცხრილში გარდა იმისა, რომ ახალი ქულები ჩაიწერეს, შესაბამისი კორექტივებით სხვა არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

„ავიამშენმა“, რალა თქმა უნდა, სრულიად იოლად სძლია სოხუმელებს — 121:70 (29:17, 33:19, 23:18, 30:16); სტუ-მ სრული 10 ბურთის სხვაობით მოუგო „მაქაბს“ — 99:89 (32:21, 24:24, 24:27, 19:17), „ბურჯი“ შინ, თელავში დინამოელებთან დამარცხდა — 70:106 (6:33, 21:26, 12:20, 31:27); და ბოლოს, თანაბარი ძალის თსუ — „თუჯის“ პაექრობაში გამარჯვება სტუდენტებს დარჩათ — 76:70 (18:25, 21:19, 20:14, 17:12).

**გათამაშების ცხრილი ახლა ასე გამოიყურება**

| | თ | მ | წ | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 26 | 22 | 4 | +504 | 48 |
| ავიამშენი | 26 | 21 | 5 | +541 | 47 |
| დინამო | 26 | 20 | 6 | +510 | 46 |
| თსუ | 26 | 16 | 10 | +239 | 41 |
| თუჯი | 26 | 14 | 12 | +160 | 40 |
| მაქაბი | 26 | 5 | 21 | -506 | 31 |
| ბურჯი | 26 | 3 | 23 | -564 | 29 |
| სსუ | 26 | 3 | 23 | -782 | 29 |

## აზმაიფარაშვილი რაჯაბოვს ნახევარი ქულით ჩამორჩა



ესპანეთის ქალაქ დოსერ ბანასში დასრულდა მე-17 კატეგორიის საჭადრაკო ტურნირი, რომლის მონაწილე 10 დიდოსტატს შორის **ზურაბ აზმაიფარაშვილიც** ასპარეზობდა. ქართველმა დიდოსტატმა 9 შესაძლებლიდან 5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ტურნირის გამარჯვებულს თეიმურ რაჯაბოვს. საინტერესოა, რომ აზმაიფარაშვილს ამ შეჯიბრში ერთი პარტიაც არ წაუგია. ასევე 5-5 ქულა მოაგროვეს ალექსანდრ რუსტემოვმა, ალექსეი დრეევმა და რუბენ ფილგაერმა, მაგრამ მათთან შედარებით ზურაბს უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა. რუსტემოვს მესამე ადგილი ხვდა წილად, დრეევს — მეოთხე, ფილგაერს — მეხუთე. შემდეგ მოდიან: ჰარიკრიშნა პენტალა, სერგეი კირიაკინი — 4,5-4,5, ლენიერ დომინგესი, ოლეგ კორნეევი, მიგელ ილესკასი — 3,5 — 3,5.

## ხელბურთელთა შუალედური ფინიში

დასრულდა ხელბურთში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის I ეტაპი. გამოვლინდა ის ექვსი გუნდი, რომლებიც I-VI ადგილებისთვის გააგრძელებენ პაექრობას. სამი აუტსაიდერიდან კი VIII-IX ადგილზე გასული დასახელდება.

პირველი ეტაპის ფინიშზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეტოქეებთან ლიდერების შეხვედრების შედეგებს. სტუ — „შევარდენმა“ საუ — „მამულს“ 47:31 სძლია და შუალედური პირველობა გაინაღდა, რაც მთავარია, ლიდერის კვალში ჩამდგარმა „თბილისმაც“ აჯობა მეტოქეს — ჭაბუკთა ნაკრებს — 25:22, არც „ქარიშხალას“ გასჭირვებია მესამე ადგილის შენარჩუნება, რომელმაც ეტაპის ბოლო ტურში ქუთაისელებს მოუგო — 24:19. სამტრედიელებმა კი თელაველების ძლევით — 42:34 შეინარჩუნეს ბოლო ადგილი ექვსეულში.

**პირველი ეტაპის შემდეგ ცხრილი ასე გამოიყურება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 17 | 16 | 0 | 1 | 622-397 | 32 |
| თბილისი | 17 | 15 | 1 | 1 | 473-379 | 31 |
| ქარიშხალა | 17 | 11 | 1 | 5 | 447-399 | 23 |
| მამული | 17 | 10 | 1 | 6 | 647-493 | 21 |
| ქუთაისი | 17 | 8 | 1 | 8 | 509-504 | 17 |
| თელავი | 17 | 8 | 0 | 9 | 463-474 | 16 |
| ჭაბუკები | 17 | 7 | 0 | 10 | 404-463 | 14 |
| სამტრედია | 17 | 2 | 1 | 14 | 393-574 | 5 |
| გორი | 17 | 0 | 0 | 17 | 351-564 | 0 |

## „სპორტი-ყველასათვის“!
## ფედერაციამ პირველი მოკავშირე შეიძინა

საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის — „სპორტი—ყველასათვის“ გადახალისების ინფორმაცია გავრცელდა თუ არა, პირველები სპორტული ცეკვებისა და ცეკვის ხელოვნების ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **თემურ მეტრეველი**) გამოგვეხმაურა. გენერალურმა მდივანმა **ნანა ფალიანმა** თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ორმხრივი ინტერესების დასაზუსტებლად შეხვედრა გაიმართა ჩვენს ფედერაციაში. ნ. ფალიანთან ერთად გვეწვივნენ პასუხისმგებელი მუშაკები **ელენე დვალი** და **გიგა წულეისკირი**. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ **თ. გაჩეჩილაძესთან** შეხვედრისას დაზუსტდა თანამშრომლობის დეტალები. შეხვედრა საიმედო პერსპექტივის ოპტიმიზმით დასრულდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ რამდენიმე ღონისძიებაში ერთობლივი მონაწილეობის შემდეგ იმსჯელებენ ურთიერთთანამშრომლობის ოფიციალურად გაფორმების შესაძლებლობაზე.

„სპორტი ყველასათვის“
პრეს-ცენტრი.

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში**

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ღია კარის დღე განმეორებით გაიმართება 6 და 10 მაისს, საკონფერენციო დარბაზში, 12 საათზე. მისამართი ილ. ჭავჭავაძის, 49 დაწვრილებითი ინფორმაცია ინტერნეტში WWW. Sportacademy.ge

## ესტონელი ოლიმპიური ჩემპიონები სოლიდურ პენსიას მიიღებენ

ესტონეთში ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმადაც ყოველი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც მიაღწევს 53 წლის ასაკს, მიიღებს ყოველთვიურად პენსიას 10 ათასი ესტონური კრონის ოდენობით, რაც დაახლოებით შეადგენს 850 დოლარს. შედარებისათვის გეტყვით, რომ რუსეთში ოლიმპიური ჩემპიონების პენსია 15 ათასი რუსული რუბლია. ეს დაახლოებით 500 დოლარია. ესტონეთში ამ სახის პენსიას მიიღებს ჯერჯერობით 7 ოლიმპიური ჩემპიონი.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

## ინტერტოტოს თასის გათამაშების კენჭისყრა

გუშინ ნიონში ჩატარდა ინტერტოტოს თასის გათამაშების კენჭისყრა. ამ ტურნირში მოასპარეზე 61 კლუბიდან სამი საუკეთესო გუნდი თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებასაც მოიპოვებს.

ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი რაუნდი 18 და 19 ივნისს იწყება. განმეორებითი შეხვედრები ერთი კვირის შემდეგ ჩატარდება.

ამ ტურნირში საქართველო ერთი გუნდით იქნება წარმოდგენილი (რა თქმა უნდა, ამ გუნდის ვინაობას ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე შევიტყობთ), რომლის მეტოქე პირველ რაუნდში იქნება უნგრეთის მიერ წარმოდგენილი მეორე გუნდი. თუ ჩვენმა ფეხბურთელებმა ეს ეტაპი წარმატებით დაძლიეს, მომდევნო მეტოქე ლუქსემბურგისა და შვედეთის გუნდებს შორის გამარჯვებული იქნება.

## ოლიმპიური ცხენოსნობა ჰონკონგში?

**გუშინ 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ აქვთ სურვილი, ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები საცხენოსნო სპორტში ჩაატარონ პეკინიდან ორი ათასი კილომეტრის მოშორებით — ჰონკონგში. ამ წინადადებით ჩინელებმა უკვე მიმართეს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას.**

**საცხენოსნო სპორტში შეჯიბრებების ჰონკონგში გამართვას ოლიმპიადის ორგანიზატორები ითხოვენ იმ მოტივით,, რომ ჩინეთის დედაქალაქში გამეფებულმა მძიმე ეკოლოგიურმა და ანტისანიტარიულმა სიტუაციამ, შესაძლოა ცხენების ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედოს.**

**საბოლოოდ, ეს საკითხი მომავალ კვირაში გადაწყდება.**

## მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე...

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ** გუშინ გვაცნობა, რომ ჩვენი ნაკრები დღეს მოსკოვში მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატში (დიდები) სასპარეზოდ. ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **52 კგ** — უშანგი კოზანაშვილი (საგარ), **57 კგ** — ავთანდილ ცინცაძე (თბ), **62 კგ** — გელა სანიკიძე (ქუთ), **68 კგ** — კახაბერ მამულაშვილი (კასპი), **74 კგ** — დავით ბარამია (თბ), **82 კგ** — გიორგი ბაინდურაშვილი (მცხ), **90 კგ** — მინდია ბოდაველი (დუშ), **100 კგ** — მირიან პავლიაშვილი (მცხ), **მძიმე** — ზვიად ჩინჩალაძე (რუსთ).

გუნდის შეკრებისა და შეჯიბრებაში მონაწილეობის ხარჯები სპორტის დეპარტამენტმა გაიღო (**სურათზე:** ბოლო ვარჯიში მოსკოვში გამგზავრების წინ).



რედაქტორის სვეტი

## რამდენი წლისა ხარ, ვაჟკაც!..

როგორც იქნა! პირდაპირ გეტყვით, ჯერ კიდევ ამ ოთხი ათეული წლის წინათ ვაქვეყნებდი „ლელოში“ კრიტიკულ წერილებს მოზარდთა სპორტულ შეჯიბრებებში ასაკის გადაკეთების სამარცხვინო ფაქტებთან დაკავშირებით. პრობლემას შარშანაც შევეხე, მაგრამ არც ადრე და არც ახლო წარსულში გამკითხავი არავინ იყო. ახლა კი, როგორც იქნა, ამ საკითხით სახელმწიფო დაინტერესდა. არა, სულაც არ არის ეს ხმამაღლა ნათქვამი, სახელმწიფო ნამდვილად უნდა ჩაერიოს ჩვენი ეროვნული სიამაყის — სპორტის პრობლემებში და ერევა კიდეც, მით უფრო, რომ სიყალბე, ნებსით თუ უნებლიეთ, უხილავ ურდულად ედებოდა ქართული სპორტის ღირსეული მემკვიდრეების აღზრდის პროგრესს.

აგერ, სულ ახალი, გუშინწინდელი ამბავი, რამაც თბილისის სპორტის სასახლეში ჭაბუკ ძიუდოისტთა შეჯიბრებაზე იჩინა თავი. ჯერ ის ვთქვათ, რომ კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ხშირად სტუმრობენ სპორტულ ასპარეზობებს, რაც მათ ობიექტური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას აძლევს ავზეც და კარგზეც.

ზემოხსენებული სამინისტროდან ამ ტურნირს მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე ესწრებოდა. იგი უშუალო მოწმე გახდა იმ აჟიოტაჟისა, რაც ასაკის გადაკეთების ბრალდებებს მოჰყვა. დადასტურდება თუ არა ეჭვები, მალე გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებსაც აუწყა, რომ ბრძოლას სიყალბის წინააღმდეგ ბოლომდე მიიყვანენ. „საკითხი ისედაც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ თუ ძიუდოთი ვიწყებთ, ახლა ეს მხოლოდ კონკრეტულმა ფაქტმა განაპირობა, სხვა სახეობებსაც მივხედავთ“ – თქვა თ. თევზაძემ.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უზნეობაა, როცა მწვრთნელი ნორჩი სპორტსმენის მშობელთან ალიანსში შედის ყალბისქმნელობაში. ისინი ამა თუ იმ ახალბედას უკეთურობისკენ უბიძგებენ – მოზარდი თანატოლს კი არ ეჯიბრება, არამედ, თავისზე უმცროსს დაწეული ასაკით. ასე მახინჯდება ყმაწვილის ფსიქიკა. უზნეობაა ისიც, როცა შენზე უმცროსს ართმევ არა მხოლოდ გამარჯვებას ან საპრიზო ადგილს, არამედ, რწმენას და პერსპექტივას.

ერთხელ, ადრე, რამაზ გოგლიძემ მითხრა (ბოდიშს ვიხდი მასთან გამოთქმის ციტირებისთვის): „დააკვირდი რა ხდება, იქ, საკავშირო სარბიელზე, ჩვენი „ვირები“, სხვების „ჩოჩრებს“ ადვილად ჯაბნიან, მერე ის სხვისი „ჩოჩრები“ ღონიერი „ვირები“ ხდებიან, ჩვენები კი იმავე დონეზე რჩებიანო“. ამით, ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი.

მივესალმებით სიყალბის წინააღმდეგ სიმკაცრეს. მეტიც, მიდგომა ცოტა უფრო მეტად სასტიკიც უნდა იყოს, რათა, რაც შეიძლება მალე ამოიძირკვოს ქართულ სპორტში ფესვებგადგმული ეს სარეველა. კარგი იქნება თუ შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც თითოეულ კონკრეტულ ფაქტს შეისწავლის და გადასცემს სპორტის ხელმძღვანელ სახელმწიფო სტრუქტურას მკაცრი რეაგირებისთვის. დღეს საქართველოში სპორტის ბუმია და განსაკუთრებით საშურია სპორტის იმ სახეობების გაფილტვრა, რომლებიც სტრატეგიულადაა მიჩნეული და მომავალი წარმატებები იგეგმება.

მხოლოდ ჯანსაღი კონკურენცია, სამართლიანობა და პატიოსნება უნდა იყოს თითოეული სპორტსმენის ორიენტირი დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე და ამაში მათ სახელმწიფოც უნდა დაეხმაროს.

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## „სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა“...

### თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა მეკლდეურობაც გამოაცოცხლა...

ჩვენი მეკლდეურები აპრილში მიწვეულები არიან რუსეთის, ჩეხეთისა და ბელგიის საერთაშორისო ტურნირებზე, მაგრამ, შეიძლება მოსკოვში გაემგზავრონ მხოლოდ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონები **ავთო ქურასბედიანი** და **ნინო ჩარკვიანი,** თანაც, თუ ფედერაცია თანხას იშოვნის. არადა, ორივე მეკლდეურმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ მათ შესწევთ უნარი საერთაშორისო ასპარეზზეც ისახელონ თავი. წლეულს, სეზონი ჩვენში „ნიამორის“ ფესტივა-


ავთო ქურასბედიანი


ნინო ჩარკვიანი

ლის ეგიდით გაიხსნა, ასე იქნება მომავალშიც, მეორე ასპარეზობა კი **ირაკლი გელდიაშვილის** მეთორმეტე მემორიალი იყო, რომელიც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზის ხელოვნურ რელიეფზე ჩატარდა. ორგანიზატორები იყვნენ მეკლდეურობის ფედერაცია და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (თმსსს), თბილისელთა გარდა კი სტარტზე, რაც მთავარია, სრული შემადგენლობით გამოვიდნენ ბათუმის, ქუთაისის, ყაზბეგის და ლენტეხის რჩეული მეკლდეურები — 34 ვაჟი და 8 გოგონა. გამარჯვებული ვლინდებოდა ორი სახეობის (სწრაფი და რთული ცოცვა) ჯამში საუკეთესო შედეგით. გოგონებიდან პირველობა არავის დაუთმო საქართველოს ჩემპიონმა, თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ნინო ჩარკვიანმა, მეორე ადგილზე გავიდა სპორტის, აკადემიის სტუდენტი **თამარ დიდებულიძე,** რომელიც სწრაფი ცოცვის შემდეგ ლიდერობდა, მესამეზე — თბილისის გუნდის წევრი **ნონა ოქიტაშვილი.** სხვათა შორის, ნინო ჩარკვიანმა მანამდე მოიგო პირველი სტარტიც — სპორტული „ნიამორი“.

ჩარკვიანის მსგავსად, საერთო გამარჯვება ლენტეხელთა სახელით მოასპარეზე ავთო ქურასბედიანსაც რთულმა ცოცვამ მოუტანა. ვერცხლის მედალი ხვდა ლენტეხელთა მეორე წარმომადგენელს **გურამ გაზდელიანს,** მესამე კი თბილისის ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბის წევრი **ალეკო დოლიაშვილი** იყო. ეს კლუბი ახალი გახსნილია, მაგრამ უკვე სერიოზული ძალა გახდა. ერთი თვის წინათ კლუბის თაოსნობით ატენის ხეობის გაყინულ ჩანჩქერზე ყინულზე მცოცავთა პირველობა ჩატარდა.

გელდიაშვილის მემორიალის გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი დიპლომებითა და საჩუქრებით დააჯილდოვა თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა **გიორგი უდესიანმა.** რჩეულებს გადაეცათ აგრეთვე სასტუმრო „გუდაურისა“ და „ყაზბეგი“ ჯგუფის ფულადი პრემიები. „მას შემდეგ, რაც თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს სათავეში ჩაუდგა **გიორგი უდესიანი,** მეკლდეურობას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. ტარდება შეჯიბრებები, რჩეულები კი საერთაშორისო სარბიელზეც გავიდნენ, შარშან, მაგალითად, ბულგარეთში გაიგზავნა ახალგაზრდა მეკლდეურთა ჯგუფი, სადაც 12 წლამდე გოგონებში საერთაშორისო ფესტივალის პრიზიორი გახდა მესტიელი **მარიანა იოსელიანი.** თბილისის ნაკრები ბათუმშიც გამოდიოდა შარშან. ამჯერად გ. უდესიანის სამსახურმა ცნობილი ქართველი მთამსვლელის და მეკლდეურის ირაკლი გელდიაშვილის ტრადიციული მემორიალი დააფინანსა“ — ამბობს საქართველოს, მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლადო გურჩიანი.** ხსენებულ შეჯიბრებებს სპორტის დეპარტამენტის პასუხისმგებელი მუშაკებიც სტუმრობენ და თანადგომასაც დაპირდნენ სპორტის ამ მამაცური სახეობის მიმდევრებს.

## ძიუდო სენაკში

დიდი ინტერესი გამოიწვია სენაკის ღია პირველობამ ძიუდოში. ტატამზე გამოვიდნენ 1990-1992 წლებში დაბადებული ჭაბუკები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ლუკა ხარბედია (26 კგ), ანრი სერგია (29), გია ლომაია (32), ბექა ქვანია (35), გიგა წურწუმია (38), ვახტანგ ჭანტურია (42), რამაზ ხურცია (46), სანდრო ხუნჯუა (50), ლაშა ლაშქარავა (55), დათო ახალაია (60), ბექა ხარბედია (მძიმე). მეორე პრიზიორები გახდნენ: ნიკა ადამია (26), ბაჩუკი ჯანჯღავა (29), ლაშა გიგიბერია (32), გიორგი ჭაფანძე (35), ნიკა ხოჭოლავა (38), ლექსო ახალაია (42), რატი კარანაია (46), პაატა კარანაია (50), ლევან შამათავა (55), გიორგი აბაკელია (60), ჯაბა ხუბუტია (მძიმე).

**მერაბ ჯიქია,**
**ლელოს საკ. კორ.**

## ხსოვნის ტურნირი



ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გია **დარსანიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ზუგდიდის, ფოთის, წალენჯიხისა და ჯვარის გუნდების მონაწილეობით ორ ასაკობრივ ჯგუფში.

**წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს (1991-1992 წწ): 21.** კგ — დათა წურწუმია (ზუგდ), **23** კგ — მალხაზ სიჭინავა (ფოთი), **26** კგ — გიორგი ბოხუა (ზუგდ); **29** კგ — მათე ყუფუნია (ფოთი); **32** კგ — ომარ ფარჯველიანი; **35** კგ — გიორგი წურწუმია (ორივე — ჯვარი); **38** კგ — ჯანო კვარაცხელია; **41** კგ — დათა ქარცხია; **44** კგ — ედიშერ ზანთარაია; **48** კგ — ლევან ფაცაცია (ყველა — ზუგდიდი), **52** კგ — გიგა გოგილავა (ჯვარი); **56** კგ — ლაშა თოდუა (ზუგდ); **59** კგ — გოგა შანავა (წალენჯ); **მძიმე წონა** — რომეო ანთია (ზუგდ).

**1988-90 წ.წ: 47** კგ — ნიკა არონია (ზუგდ); **50** კგ — ხვიჩა გვაჯავა; **53** კგ. მიშა ჯაკონია (ორივე — ჯვარი); **58** კგ — გია კვარაცხელია; **63** კგ — გიორგი ბარკალაია; **69** კგ — ლევან მებონია; **74** კგ. ბაჩანა ზარანდია; **მძიმე წონა:** ირაკლი ლემონჯარია (ყველა — ზუგდ).

**მერაბ ჯიქია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

## კრივიანობა ვარიანში

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტულ სკოლებში დასაქმებული ადამიანები ჟურნალისტებთან ნებისმიერ საუბარს ამ სამინისტროსადმი მადლობით იწყებენ. მიზეზი გასაგებია — ბოლოს და ბოლოს, გაჩნდა ესოდენ ნანატრი დაფინანსება. 2005 წლის ბიუჯეტი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების, შეკრებებისა და შეჯიბრებების ხარჯებსაც ითვალისწინებს.**

ახლახან ვარიანის ცნობილმა საკრივო კერამ, რომლის აღმოცენება გიორგი კანდელაკის მიღწევებს და სახელს უკავშირდება, კადეტ მოკრივეთა ტურნირს უმასპინძლა. 23 გუნდის 170-მდე წარმომადგენელი ეწვია ი. გოგებაშვილის სოფელს. აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა შორის იყვნენ ჭაბუკი მოკრივეები მაღალმთიანი აჭარიდან, ყვარელიდან, შუახევიდან, სადაც თბილისელი მწვრთნელი **ს. წინამძღვრიშვილი** ჩავიდა სამუშაოდ. მწვრთნელს მხარში დაუდგა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **ნ. დავითაძე.** ასევე პირველად გამოჩნდნენ რინგზე ქსნის მოსწავლეები მწვრთნელ **ვ. ცერცვაძის** ხელმძღვანელობით. ადრინდელი ტრადიციები აღუდგენიათ ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენში, სადაც ახლა მწვრთნელად **პ. თოდუა** მუშაობს.



მსოფლიო კრივის ისტორიაში კადეტთა ევროპის პირველობა სიახლეა და ამიტომაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვარიანში გამართულმა ამ შეჯიბრებამ. ფაქტობრივად, ჩვენი ნაკრები ამ ტურნირის შედეგებით დაკომპლექტდება. ევროპის პირველობა უნგრეთში გაიმართება ივლისის მეორე დეკადის დასაწყისში.

მონაწილეთა და წონითი კატეგორიების სიმრავლის გამო ზოგიერთ წონაში გამოვლინდა ორი პირველადგილოსანი.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 1992-წლიანები:** გ. ამაღლობელი (42 კგ; აჭ), ლ. ხარხიანი (34 კგ; გარდ) და მ. ავაკიანი (ბაკურიანი), მ. კაპანაძე (36; ჭიათ), გ. სტაიანოვიჩი (38; თბ) და თ. კოტრიკაძე (ქუთ), გ. მაისურაძე (40; წინანდ), გ. ჯაფარიძე (42; ჭიათ) და ჯ. შალუტაშვილი (ბორჯ), მ. შანყულაშვილი (48; გურჯ) და ი. თოდუა (ზუგდ). **1990-1991-წლიანები: 42 კგ:** მ. პაპლიაშვილი (ვარ) და გ. გუნია (სენაკი); **44 კგ:** მ. ბატიაშვილი (რუსთ) და ლ. ქობულაშვილი (თბ); **46 კგ:** ნ. შალიბაშვილი (ქუთ) და რ. ცინცაძე (ტყიბ); **48 კგ:** ბ. ჩიტაძე (ტყიბ) და ლ. ფცქიალაძე (ქუთ); **50 კგ:** გ. სამადალაშვილი და დ. გოგინაშვილი (ორივე — გორი); **52 კგ:** ა. ვახტანგიშვილი (ვარ) და ი. ქაჩაქიძე (ქუთ); **54 კგ:** ა. გაბუნია (ქუთ) და ჯ. ხოსიტაშვილი (ახალც); **56 კგ:** რ. ამსარაშვილი (გურჯ) და გ. ჯაყელი (თბ); **58 კგ:** ბ. როგავა (თბ); **60 კგ:** რ. თავაძე (ქუთ) და ვ. დათეშიძე (რუსთ); **63 კგ:** ბაქარ ყურმანაშვილი (ახალც); **66 კგ:** გ. კვერღელიძე (ფოთი); **70 კგ:** ი. გვენეტაძე (ქუთ); **74 კგ:** ი. ქოროღლიშვილი (გურჯ); **79 კგ:** ლ. ცაციაშვილი (გორი); **86 კგ:** გ. კილასონია (ფოთი).

შენიშვნა: ზემოხსენებულ ასაკში წონებში, სადაც 2-2 პირველადგილოსანია მითითებული, პირველად I ჯგუფში, შემდეგ კი II ჯგუფში გამარჯვებულებია დასახელებული. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ა. შოშიაშვილი,** მდივანი — ეროვნული კატეგორიის მსაჯი **გ. დევდარიანი, ჟიური: გ. კანდელაკი** — მს. ჩემპიონი, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, **რ. ნიკოლაძე** — დ. კვაჭაძის სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელი და **კ. შავგულიძე** — კრივის ფედერაციის გამგეობის წევრი.

„კრივს უკვე ძალიან ბევრი მიმდევარი ჰყავს ჩვენს ქვეყანაში, სასიხარულოა, რომ გეოგრაფია გაიზარდა, შეჯიბრებები სტიმულს აძლევს მოზარდებს და მათ ხშირად უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ვარიანში გამართული ეს ასპარეზობა კრივის ნამდვილ დღესასწაულად იქცა არა მხოლოდ მონაწილეებისთვის“ — თქვა **გ. კანდელაკმა.**

**ცოტნე ბაქრაძე.**

## რამაზ ქიაურელი თავაწეული მოაბიჯებს...

საქართველოს სახელოვან სპორტსმენთა დიდ არმიას კარგა ხანია საგარეჯოელი რამაზ ქიაურელიც შეემატა. კიკბოქსინგის საგარეჯოელი მოყვარულის დებიუტი მსოფლიო რინგზე წარმატებული გამოდგა. მან ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში მიაღწია დიდ გამარჯვებას მსოფლიო სარბიელზე.

ამ გამარჯვებას წინ უძღოდა სხვა მნიშვნელოვანი მიღწევები საქართველოსა და უცხოეთში. გაიზარდა, დავაჟკაცდა რამაზი და შესაბამისად გაიზარდა მის მიერ მოპოვებული სპორტული ნადავლი, იგი ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ჩამოყალიბდა.

რამაზი მუდამ ახლის ძიებაშია, არ აკმაყოფილებს მიღწეული... და აი, მოულოდნელად საფრანგეთის ქალაქ ლაროშელის სპორტული კლუბიდან მოწვევა მიიღო. უკვე რვა თვეა რამაზი ლაროშელში იმყოფება და უკვე ისახელა თავი — მონაწილეობა მიიღო საფრანგეთ-ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში და პრიზიც დაიმსახურა. რამაზი შეყვანილია 10 რჩეული პროფესიონალის სიაში.

კლუბის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ რამაზზე და დარწმუნებული არიან, რომ იგი მომავალი მსოფლიო ჩემპიონია. ამ დღეებში რამაზის მშობლებმა საფრანგეთიდან ვიდეოკასეტა მიიღეს, სადაც ახალგაზრდა კიკბოქსინგელის სპორტული ცხოვრება და მიღწევებია აღბეჭდილი.

— სიამაყის გრძნობა მეუფლება, როცა სპორტულ დარბაზში ქართული დროშით ხელდამშვენებულ თანამემამულეებს ვხედავ. საკმარისია, რომ სპორტულ რეკლამებში ჩემი გვარი ამოიკითხონ, იქ გაჩნდებიან და გულშემატკივრობენ, მილოცავენ, გამარჯვებაში მეხმარებიან, უყვება რამაზი მშობლებს.

ფრანგები გაკვირვებას ვერ ფარავენ ქართველთა ერთგულებითა და გულშემატკივრობით. არც ისინი რჩებიან ვალში ახალგაზრდა კიკბოქსინგელის მიმართ, უყურადღებოდ არ ტოვებენ, პატივს სცემენ და საკუთარ ახლობელ ადამიანად მიაჩნიათ.

ამჯერად რამაზი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც სულ



მალე ინგლისში გაიმართება.

ქართველი სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ჩვენ სპორტსმენთა გამოსვლებს მსოფლიო სარბიელზე და, რა თქმა უნდა, მათ შორის ერთ-ერთი რამაზიცაა.

**გია აბულაძე.**

## გამარჯვებულები და პრიზიორები დროებით თუ...

გასულ კვირას ძიუდოში ჭაბუკთა საქართველოს პირველობა დასრულდა. ცხადია, გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, მაგრამ... შეიძლება დროებით. საქმე იმაშია რომ (აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და გთავაზობთ პირველ გვერდზე წაიკითხოთ „რედაქტორის გვერდი“). **გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 50** კგ: პ. მერაბიშვილი (შიდა ქართ), 2. დ. პაპინაშვილი (აჭ), 3. ბ. გოგოჭური (მცხ-მთ) და ა. ქამლიანი (ზემო სვ); **55** კგ: 1. რ. მშვიდობაძე (შიდა ქართ), 2. მ. დარჯანია (ქვ. ქართ), 3. ლ. შერმადინი (მცხ-მთ) და ი. ქობლიანიძე (თბ); **60** კგ: 1. ზ. პაპოშვილი (კახ), 2. ა. იაკობაშვილი (ქვ. ქართ), 3. ი. დვალიშვილი (თბ) და ზ. ოსაძე (შიდა ქართ); **66** კგ: 1. ა. მაჭარაშვილი (თბ), 2. ს. ციხელაშვილი (მცხ-მთ), 3. თ. შარვაშიძე (ქუთ) და ა. თანანაშვილი (თბ). **73** კგ: 1. ბ. მარგველანი (ქვ. ქართ), 2: გ. მჭედლიშვილი (მცხ-მთ), 3. კ. ზურაბაშვილი (კახ) და შ. ტვილდიანი (თბ); **81** კგ: 1. გ. ხუციშვილი (იმერ), 2. ზ. რამაზაშვილი (რაჭა), 3. გ. ჯავახაძე (გურია), და ბ. გიქოშვილი (თბ); **90** კგ: 1. ვ. ცოციაშვილი (თბ), 2. ვ. მირდისოვი (ცხ-მთ), 3. ზ. ჯანიაშვილი (კახ) და კ. გუკელიანი (ქვ. ქართ); **+100** კგ: 1. ა. ოქრუაშვილი (მცხ-მთ), 2. ლ. მოქერია (თბ), 3. ო. მაღრაძე (აჭ), 3. ი. პურიჭამიაშვილი (შიდა ქართ).



## მიბაძეთ საჩხერის სოფლების გამგებლებს



როცა კალათბურთში რაიონული პირველობა სამ კვირას გრძელდება, ეს მონაწილეთა სიმრავლეზეც მიგვანიშნებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოსტატობის დონეზეც აქვს გარკვეული პრეტენზია. დონემ ნამდვილად აიწია წინა წლებთან შედარებით. თუ საჩხერის სოფლების გუნდებში მეტწილად მოსწავლეებით იყო წარმოდგენილი, გასაკვირი ამაში არაფერია. პირველობა ქორეთელებმა დაისაკუთრეს, მეორეზე არგვეთელები გავიდნენ, მესამე სოფ. სარეკის საკრებულოს ჭაბუკთა გუნდი იყო. ხაზგასმულია სამივე სოფლის საკრებულოების აქტიური მხარდაჭერა სპორტისადმი. გამარჯვებულები და პრიზიორები რაიონის გამგებელმა **ზურაბ ცერცვაძემ** და მისმა მოადგილემ **მარიანა გოგობერიშვილმა** დააჯილდოვეს.

**თამაზ ლაშხი. საჩხერე.**

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 1959 წლის კურსდამთავრებულები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი მუშაკი**

**ლევან ლობჟანიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მასობრივი სპორტის გამოჩენილი ორგანიზატორის**

**ლევან ლობჟანიძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №18 (32) აპრილი, 2005 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ტურნირი საბრძოლო ხელოვნებებში

## თბილისი. 7–8 მაისი

ZAGORKA BREWERY
Zagorka Special
ORIGINAL BULGARIAN LAGER BEER

ტურნირის სპონსორია უმაღლესი ხარისხის ლუდი „ზაგორკა“



## ტურნირის ორგანიზატორები

- საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
- ქალაქ თბილისის მერიის სპორტის სამსახური
- ქალაქ თბილისის ოლიმპიური კომიტეტი
- საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
- საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭო
- საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაცია
- საქართველოს კოსიკი კარატე-დოს ფედერაცია
- საერთაშორისო საბრძოლო ხელოვნებათა აკადემია

# კავკასიის თასი 2005

**შოტოკან კარატე დოს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით**

2 აპრილს, თბილისში შევარდენის სპორტულ კომპლექსში სპორტის დეპარტამენტის ეგიდით ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კარატე დოში (WKF)-ის (მსოფლიოს კარატე დოს ფედერაცია) ეგიდით, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული ტრადიციელი კარატე დოს მიმართულებებმა (შოტოკანის, შიტორიუს, ვადორიუს და გოჯუკაის) წარმომადგენლებმა.

### ჩემპიონთა ნუსხა

საქართველოს ჩემპიონები (WKF)-ს წესით.

**კატა ვაჟებში**

დავით ჭელიძე (ქუთაისი, შოტოკანი)

**კატა გოგონებში**

ეთერ გავაშელი (თბილისი, შოტოკანი)

**გუნდური კატა ვაჟებში**

დავით ჭელიძე (შოტოკანი)
ბექა კუხიანიძე (შოტოკანი)
რეზო აბრამიძე (შოტოკანი)

**გუნდური კატა გოგონებში**

ქეთინო გოგბერაშვილი (შოტოკანი)
ეთერ გავაშელი (შოტოკანი)
ეანა ჭუბაბრია (შოტოკანი)

**კუმიტე ვაჟებში**

—60 კგ. დავით ტყებუჩავა (თბილისი, შოტოკანი)
—65 კგ. ლევანი ნაზარაშვილი (თბილისი, შოტოკაი)
—70 კგ. გიორგი მაჩაბელი (გორი, შოტოკანი)
—75 კგ. ლევან გორელაშვილი (თბილისი, შოტოკანი)
—80 კგ. გოგიტა არქანია (ზუგდიდი, შოტოკანი)
+80 კგ. ვასილი ჭონიშვილი (თბილისი, შიტორიუ)

**კუმიტე გოგონები**

—53 კგ. შორენა შენგელია (ჩხოროწყუ, შოტოკანი)
—60 კგ. თათია მელუა (თბილისი, შოტოკაი)
+60 კგ. ცირა სამუშია (თბილისი, შოტოკაი)

# ტურნირის დებულება

**საერთაშორისო ტურნირი საბრძოლო ხელოვნებებში (კარატე-დო, ტაეკვანდო, კოსიკი კარატე-დო, ჯიუ-ჯიცუ) „კავკასიის თასი 2005". 7-8 მაისი 2005 წელი, თბილისი მონაწილეობენ რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის და საქართველოს ნაკრები გუნდები**

### მიზანი და ამოცანები:

— საბრძოლო ხელოვნებათა განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში

— სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება

### მონაწილეთა ასაკი და წონა:

კუმიტე — ბავშვები (ვაჟები, გოგონები) მე-5 კიუ და ზევით 6-7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16-17 ( -65; -75; %75)

მე-5 კიუმდე: 6-7, 8-9, 10-11,12-13, 14-15.

კუმიტე უფროსები: -68კგ, -78კგ, %78კგ.

ტაეკვანდო: ვაჟები (-58; -68; -80; %80)კგ.

გოგონები: (-47; -57; %57)კგ.

ჯიუ-ჯიცუ (-58, -68, 80, %80)კგ.

კატა — ბავშვები ( ვაჟები, გოგონები 10 წლამდე, 14 წლამდე, 18 წლამდე, 18 წელს ზემოთ.

კატა — დიდები (გოგონები, ბიჭები) 18 წ. და ზევით

კატა — ვეტერანები: 35-45წ, 45-55წ, 55 წელს ზევით

გუნდური კატა; 14 წლამდე; 14 წელს ზევით.

### შეჯიბრში მონაწილეობის პირობები

ჩემპიონატში მონაწილე ფედერაციებმა და კლუბებმა უნდა წარადგინონ განაცხადი: სახელი, გვარი,

დაბადების თარიღი, წონითი კატეგორია, ბუდო-პასპორტი და ექიმის თანხმობა.

- განაცხადების შემოტანა უნდა მოხდეს ა.წ. 1 მაისამდე. მისამართი: დ. უზნაძის №6, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია.

- ჩემპიონატი ტარდება შოტოკან კარატეს წესებით.

ბავშვები 1,5წთ. შობუ ნიბონ.

კადეტებში 2წთ. შობუ სანბონ

### მსაჯობა

- ჩემპიონატზე სამსაჯოდ მოწვეულნი არიან მსაჯები აზერბაიჯანიდან, სასომხეთიდან, რუსეთიდან. მსაჯების სემინარზე დასწრება სავალდებულოა ყველა ინსტრუქტორისათვის, გამოცდის ჩატარების შემთხვევაში ინსტრუქტორს მიენიჭება სათანადო ლიცენზია და უფლება იმსაჯოს ეროვნულ ჩემპიონატზე.

### დაჯილდოვება

ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

### შეჯიბრის ჩატარების დრო და ადგილი

- მსაჯებისთვის სემინარი ჩატარდება 2005 წლის 6 მაისს. დასაწყისი 16:00 საათზე.

- ჩემპიონატი ჩატარდება 2005წ. 7-8 მაისს ქ. თბილისში, მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლეში.

- საზეიმო გახსნა და ფესტივალი 8 მაისს 15 სთ-ზე.

- დასაწყისი 10 საათზე.






# შიდა ქართლის ღია პირველობა

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის შიდა ქართლის ფილიალმა რესპუბლიკური ტურნირი ჩაატარა — „შიდა ქართლის ღია პირველობა", სადაც 200-მდე კარატისტმა იასპარეზა.

როგორც შიდა ქართლის ფედერაციის პრეზიდენტი ვეფხია ხუცინაშვილი აცხადებს: „შიდა ქართლის ღია პირველობა" დრო და დრო უფრო პოპულარული ხდება. ამ ჩემპიონატზე ბევრმა ახალბედამ გამოავლინა თავი და შემდეგ უკვე არაერთ საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იბრძოლა".

„შიდა ქართლის ღია პირველობის" დამთავრების შემდეგ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ ტურნირი მოიწონა და მაღალი შეფასებაც მისცა.

დაბოლოს, ვეფხია ხუცინაშვილმა ტურნირის ჩატარებაში გაწეული თანადგომისათვის დიდი მადლობა გადაუხადა გორის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გია თენაძეს, შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა უფროსს, პოლკოვნიკ ზაზა ჭედლიძეს, შიდა ქართლის გუბერნატორს, ბატონ მიხეილ ქარელს და მის მოადგილეს სპორტის დარგში, ბატონ ზვიად ხმალაძეს.

**8 წელი**
I თემო ფირცხალაიშვილი —გურია.
II ლადო გოგრიჭიანი —ქუთაისი.
III ოთარი კობეშავიძე —თბილისი.
III ოთარი ასაბაშვილი —გორი.

**9 წელი**
I დათო დარჩია —გურია.
II ლევანი შატაკიშვილი —გორი.
III ლაშა ნიქაბაძე — ქუთაისი.
III გიორგი ცაციაშვილი —გორი.

**10 წელი**
I პაპუნა მჭედლიშვილი —გორი.
II ზურიკო ხარაბაძე —ქუთაისი.
III გიორგი ღვინიაშვილი —თბილისი.
III ბექა მოსეშვილი —გურჯაანი.

**11 წელი**
I ხუცინაშვილი ლევანი
II გიორგი თავაძე —თბილისი.
III ბექა ქობლიანიძე —გორი.
III რომეო ზოსიძე —გურია.

**12 წელი**
I რეზო ელიზბარაშვილი —გორი.
II ილია აღდგომელაშვილი —თბილისი.
III თომა სამხარაძე —გურია.
III კახა ჯაფიაშვილი —გორი.

**13 წელი**
I რევაზი ჩქარეული —გორი.
II ბექა სუთიძე —ქუთაისი.
III არმენ მარკარიანი —თბილისი.
III იოსები მამაგულაშვილი —გორი.

**14-15 წელი**
I კახა ასკურავა —გურია.
II ემზარი თაგლი —თბილისი.
III ლაშა კვაბზირიძე —თბილისი.
III გიორგი ხუფენია

**16-17 წელი**
I ვლადი გაბუნია —თბილისი.
II ხაჩიკი ტონოგონიანი —გურია.
III მანუჩარი ჩხაიძე —გურია.
III ვლადიმერი ღვინიაშვილი —თბილისი.




## ნუგზარ ჭიაბერაშვილი — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.
ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი
空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
მენერალური სპონსორი

# დინამიური, სანახაობრივი

კვირას, ოცდამეშვიდე ტურის მატჩებით დასრულდა ეროვნული პირველობის მესამე წრე. აქამდე ჩატარებულ, 135 მატჩში, 32 ფრე ალინიშნა. გატანილია 343 გოლი (საშუალოდ 2,540 ერთ მატჩში). ეს ჩემპიონატის მცირე სტატისტიკაა, რაც შეეხება მესამე წრის უკანასკნელ ტურს, იგი საკმაოდ დინამიური, სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. ბათუმში, თნაკლუბელების დამარცხებით ლიდერობა განიმტკიცა თბილისის „დინამომ". ტურის ცენტრალურ მატჩში, ქულები გაიყვეს „თბილისმა" და „ტორპედომ." ახლა, ისინი ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩებიან. თბილისელები და ქუთაისელები კი ასევე, ოთხი ქულით უსწრებენ „ლოკომოტივს". რკინიგზელებმა გაჭირვებით, ერთადერთი გოლით მოიპოვეს გამარჯვება გორში და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ალბათ, შემდგომშიც გააგრძელებენ. დაწინაურებული ოთხეული კი დიდი სხვაობით უსწრებს სხვა გუნდებს.

მორიგი გამარჯვება გასვლით მატჩში, მოიპოვა „ზესტაფონმა". იმერლებმა „ვიტ ჯორჯია" დაამარცხეს მცხეთაში და ცხრილშიც ერთი საფეხურით ზევით აინაცვლეს.

გამძაფრდა ბრძოლა ლიგაში დარჩენისათვის. სიონმა" ბოლნისში უმასპინძლა უშუალო კონკურენტს, „კოლხეთს" და დამაჯერებლად, დიდი ანგარიშით მოუგო კიდეც. ახლა მათ შორის სხვაობა ერთი ქულაა და ჯერაც გაურკვეველია ვინ გაიზიარებს გორელთა ბედს, ვინ დაემშვიდობება უმაღლეს ლიგას.

ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი მეოთხე წრე ერთ კვირაში დაიწყება ოცდამერვე ტურის ხუთი მატჩით.

**10 აპრილი. უმაღლესი ლიგა, XXVII ტურის სტატისტიკა**

**ბოლნისი. თ, სტეფანიას სახელობის სტადიონი. 500 მაყურებელი**

**სიონი — კოლხეთი 3-0**

**სიონი:** ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ოქროპირიძე, სვანიძე, უგრეხელიძე (ბაჯელიძე 60), დოლიძე, ავალიანი (ნადირაშვილი 85), ქოქიაშვილი, ჩაჩუა, ისიანი (ქარდავა 56).

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ჩილვინაძე (წაბრია 32), კილასონია, ყურაშვილი, ტყებუჩავა, (გოროზია 72), მიკუჩაძე, მარგალიტაძე, შველიძე, ლებანიძე, ნ. ნარსია (გოგნაძე 68), ხიზანიშვილი.

**გოლები:** 1-0 დოლიძე (22), 2-0 ქარდავა (74), 3-0 დოლიძე (90)

**გააფრთხილეს:** ნარსია (40), მარგალიტაძე (42), სვანიძე (77), მიკუჩაძე (77).

**მსაჯი:** ლ. სილაგავა (თბილისი).

**გორი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონი.1000 მაყურებელი**

**დილა — ლოკომოტივი 0-1**

**დილა:** თ. ილურიძე, ო. მგელაძე, დ. ხანიშვილი, ქარქუზაშვილი, დ. მაისურაძე, კ. ხანიშვილი, რევაზიშვილი, ტლაშაძე (ჯალაბაძე 70), ჯობაძე (თომაშვილი 70), სულთანიშვილი, ა. ლაბაძე (სამადაშვილი 46).

**ლოკომოტივი:** სტურუა, სეთურიძე, გიგაური, რ. ონიანი, მანჩხავა, ექონია, სანიკიძე (ალავერდაშვილი 70), დ. ფოფხაძე, ბობოხიძე, მძინარიშვილი (კობახიძე 80), რამონი (გ. ყიფიანი 85).

**გოლი:** 0-1 რამონი (11)

**გააფრთხილეს:** ილურიძე (60), რევაზიშვილი (66), სულთანიშვილი (90)

**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
XXVII ტური
უმაღლესი ლიგა

**მცხეთა. სტადიონი არმაზი. 500 მაყურებელი**

**ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი 1-2**

**ვიტჯორჯია:** ჭურაძე, გ. კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, რაზმაძე (ვ. გოჩაშვილი 62), დიღმელაშვილი, ლ. კვარაცხელია (ფეიქრიშვილი 46), სახოკია, პ. დათუნაიშვილი, ებანოიძე (კუსრაშვილი 75), მარცვალაძე.

**ზესტაფონი:** გ. სომხიშვილი, შავგულიძე, ჩიკვილაძე, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, ძამსაშვილი, ზირაქიშვილი (ბესარაშვილი 85), განუგრავა (გუჩუა 46), ნუდნი (ბ. გოცირიძე 78), კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე.

**გოლები:** 0-1 ძამსაშვილი (44), 0-2 ზირაქიშვილი (60), 1-2 სახოკია (72)

**გააფრთხილეს:** ძამსაშვილი (77), გ. კვახაძე (80)

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი)

**ბათუმი. სტადიონი „დინამო". 500 მაყურებელი**

**დინამო (ბთ) — დინამო (თბ) 1-2**

**დინამო (ბთ):** ი. ბალაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ხმალაძე (ღლონტი 24), ცანავა (ი. მახარაძე 60), ბესო თედორაძე, პ. ჩოხელი (ხომერიკი 50), გ. მანწკავა, კ. მეტრეველი, დარჩიძე.

**დინამო (თბ):** ზოიძე, კაშია, ჰიჭვეიშვილი, ორბელაძე, კანდელაკი, ლ. ნოზაძე, ჯამარაული (გ. ნუგზარის ძე ჰელიძე 72), ბაბუნაშვილი (ნემსაძე 35), მელქაძე, დვალიშვილი (ლ. ჰელიძე 86), დ. ოდიკაძე.

**გოლები:** 0-1 ბაბუნაშვილი (12), 0-2 დვალიშვილი (60), 1-2 დარჩიძე (66)

**გააფრთხილეს:** კაშია (70)

**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**თბილისი. სტადიონი „ოლიმპი" 2000 მაყურებელი**

**თბილისი — ტორპედო 2-2**

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ლოლაძე, ქემოკლიძე, გ. ფოფხაძე, მიქიაშვილი, ბ. ქლენტი (ვ. კვარაცხელია 66), ფიფა, მესხი, შ. ჯიქია, გეწაძე, აფციაური.

**ტორპედო:** მერლანი, რატი ბარაბაძე (წუწუნავა 80), ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, მემარნიშვილი, გ. ახალაია, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, სოსელია (რ. ჯიქია 50), მეგრელაძე.

**გოლები:** 1-0 ქლენტი (12), 1-1 გამეზარდაშილი (30), 2-1 ფიფია (45), 2-2 მეგრელაძე (84)

**გააფრთხილეს:** მესხი (70), ბაქრაძე (78)

**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 27 | 17 | 4 | 6 | 58-24 | 55 |
| თბილისი | 27 | 15 | 6 | 6 | 48-29 | 51 |
| ტორპედო | 27 | 14 | 9 | 4 | 43-23 | 51 |
| ლოკომოტივი | 27 | 12 | 11 | 4 | 35-20 | 47 |
| ზესტაფონი | 27 | 12 | 4 | 11 | 27-39 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 10 | 8 | 9 | 39-32 | 38 |
| დინამო (ბთ) | 27 | 7 | 10 | 10 | 28-24 | 31 |
| კოლხეთი | 27 | 7 | 5 | 15 | 25-39 | 26 |
| სიონი | 27 | 7 | 4 | 16 | 24-48 | 25 |
| დილა | 27 | 2 | 3 | 22 | 16-65 | 9 |

**ბომბარდირები**

ლ. მელქაძე (დინამო თბ) — 21
გ. მეგრელაძე (ტორპედო) — 19

# რეგიონალური ლიგა

**აღმოსავლეთი, XX ტური**

ალგეთი — ამერი2 0-1
სიონი2 — ერთობა 3-0
თბილისი — გაგრა 0-3
კახეთი2 — რუსთავი2 1-1
იმედი — სპარტა 2-1
დინამო (სოხ) — დურუჯი 3-1
ნ. დინამო — თბილისი3 0-2
ნ. დინამო2 — ცხუმი 1-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი2 | 20 | 18 | 1 | 1 | 58-15 | 55 |
| გაგრა | 20 | 16 | 2 | 2 | 43-7 | 50 |
| სიონი 2 | 20 | 15 | 1 | 4 | 45-24 | 46 |
| დინამო (სოხ) | 20 | 13 | 2 | 5 | 53-24 | 41 |
| თბილისი3 | 20 | 9 | 4 | 7 | 28-20 | 31 |
| ნ. დინამო | 20 | 8 | 5 | 7 | 28-30 | 29 |
| სპარტა | 20 | 8 | 4 | 8 | 25-30 | 28 |
| ცხუმი | 19 | 8 | 3 | 8 | 17-19 | 27 |
| რუსთავი2 | 20 | 6 | 4 | 10 | 19-36 | 22 |
| იმედი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-33 | 22 |
| ნ. დინამო2 | 20 | 6 | 4 | 10 | 29-35 | 22 |
| კახეთი2 | 20 | 5 | 3 | 12 | 27-41 | 18 |
| ალგეთი | 20 | 3 | 8 | 9 | 11-30 | 17 |
| თბილისი | 19 | 5 | 1 | 13 | 29-43 | 16 |
| დურუჯი | 20 | 4 | 3 | 13 | 22-46 | 15 |
| ერთობა | 20 | 3 | 3 | 14 | 22-49 | 12 |

**ცენტრალური, XIX ტური**

თრიალეთი — ასა-მეშაქრე 2-1
ლიახვი — ბერი 3-0
სამგორი — მესხეთი 0-3
სპარტაკი2 — ბენდელა 7-2
ჩიხურა2 — ჭაბუკიანი 2-0
თორი— — ზოოვეტი 0-1
დილა2 — პრემა 3-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესხეთი | 19 | 17 | 2 | 0 | 53-9 | 53 |
| თრიალეთი | 18 | 13 | 1 | 4 | 36-22 | 40 |
| პრემა | 19 | 11 | 0 | 8 | 42-28 | 33 |
| სპარტაკი2 | 19 | 10 | 3 | 6 | 52-27 | 33 |
| დილა2 | 19 | 10 | 3 | 6 | 47-24 | 33 |
| სამგორი | 18 | 9 | 5 | 4 | 33-24 | 32 |
| ზოოვეტი | 18 | 9 | 5 | 4 | 31-18 | 32 |
| ლიახვი | 18 | 9 | 5 | 4 | 33-18 | 32 |
| ჭაბუკიანი | 18 | 9 | 1 | 8 | 24-20 | 28 |
| თორი2 | 19 | 6 | 1 | 12 | 17-37 | 19 |
| დინ-ბენდ. | 19 | 5 | 2 | 12 | 23-54 | 17 |
| ბერი | 19 | 4 | 5 | 10 | 25-30 | 17 |
| ჩიხურა2 | 19 | 5 | 1 | 13 | 24-39 | 16 |
| მეშაქრე | 19 | 4 | 4 | 11 | 23-30 | 16 |
| მარნეული | 18 | 0 | 0 | 18 | 5-88 | 0 |

პრემა და მარნეული გამოეთიშნენ გათამაშებას.

# ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთის ფედერაციის დროებითი პრეზიდენტია



შაბათს, 9 აპრილს, ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის ჩვიდმეტმა წევრმა სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თანამდებობიდან გადადგომის განცხადება განიხილა. — „მივმართავ სფფ-ს აღმასკომს მიიღონ ჩემი განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და დაინიშნოს ახალი რიგგარეშე არჩევნები." — მერაბ ჟორდანიას ფინანსური პოლიციის მიერ დაკავების შესახებ ეცნობა ფიფას და უეფას. ასე რომ, სფფ-ს ირგვლივ არსებული ვითარება საერთაშორისო საფეხბურთო წრეებისთვის ცნობილია. სფფ-ს აღმასკომიც საგანგებოდ შეიკრიბა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ახლახან დამტკიცებული სფფ-ს წესდების შესაბამისად, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნა. დათქვა რიგგარეშე ყრილობის ჩატარების ვადა, აგრეთვე ყრილობის დღის წესრიგი, დელეგატთა და პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების თარიღი დაადგინა. სფფ-ს აღმასკომის სხდომა ერთი საათი გაგრძელდა. აღმასკომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გივი ნოდიას ხსოვნას. ალექსანდრე ჩივაძეს დაბადების საიუბილეო თარიღი მიულოცეს, გადასცეს პრემიერმინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის მისალოცი წერილები და დღის წესრიგის საკითხების დამუშავებას შეუდგნენ.

სფფ-ს აღმასკომმა სხდომის დადგენილების პროექტის მიღებამდე სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა გაავრცელა. საკმაოდ ემოციური მსჯელობის შემდეგ კი დაადგინა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე IX ყრილობა 10 ივნისს, თბილისში ჩატარდება და 12 საათზე დაიწყება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა ორი წლით, 2007 წლამდე. წესდების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სფფ-ს ჩვიდმეტი სუბიექტი (ათი რეგიონალური ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, ფუტსალის ასოციაცია, ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი, მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა და უმაღლესი ლიგის ათი კლუბი) ყრილობის 58 დელეგატს დაასახელებს. მათ შორის 26 ხმის უფლებით იქნება. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შეტყობინება დაიგზავნება მისი ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 30 დღით ადრე. დელეგატები ყველა დოკუმენტს ყრილობის დაწყებამდე 10 დღით ადრე მიიღებენ. სფფ-ში ყრილობის დელეგატების წარმოდგენა ნებადართულია 25 მაისამდე. წესდების 27-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად რიგგარეშე ყრილობას იწვევს და დღის წესრიგს ადგენს სფფ-ს აღმასკომი, რომელიც ამავე მუხლის მეექვსე პუნქტის მიხედვით არ იცვლება. სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე დადგინდა სფფ-ს პრეზიდენტობაზე კანდიდატურების წარდგინების ბოლო თარიღი, — 20 მაისი. რიგგარეშე IX ყრილობამდე კი სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე. ყრილობამდე ჩივაძე გაუძღვება სფფ-ს ორი თვის განმავლობაში. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება მისთვის, ახალი არ არის, რვა წლის წინათ, სფფ-ს პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ იგი ცხრა თვე მეთაურობდა ფეხბურთის ფედერაციას. რიგგარეშე ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოები კი უკვე დაწყებულია.

გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ მერაბ ჟორდანიას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მისმა ადვოკატებმა ეს გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრეს.

# ცხადაძე გადადგა



ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზე განიხილეს სხვა ორგანიზაციული საკითხიც. 19 წლამდელთა ნაკრების თავკაცი კახა ცხადაძე პოსტიდან გადადგა, და ამიერიდან, მხოლოდ თბილისის „დინამოს" პრობლემებით დაკავდება. ფეხბურთის ფედერაციისთვის 17 და 19-წლამდელთა ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მწვრთნელთა საკითხი ისევ აქტუალურია. ალექსანდრე ჩივაძის განმარტებით, ამ საჭირბოროტო და მნიშვნელოვან საკითხზე სფფ-ს მწვრთნელთა საბჭო უახლოეს ხანში კვლავ იმსჯელებს.

# ჭაბუკთა ლიგა

**86-87 წლიანები**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 16 | 10 | 2 | 4 | 45-19 | 32 |
| ლოკომოტივი | 16 | 9 | 5 | 2 | 31-13 | 32 |
| ტორპედო | 15 | 8 | 5 | 2 | 26-13 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 1 | 7 | 28-25 | 25 |
| ზესტაფონი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-20 | 25 |
| თბილისი | 17 | 7 | 3 | 7 | 36-25 | 24 |
| კოლხეთი1913 | 17 | 6 | 4 | 7 | 27-30 | 22 |
| დინამო (ბთ) | 14 | 4 | 6 | 4 | 23-15 | 18 |
| დილა | 16 | 3 | 3 | 10 | 18-38 | 12 |
| სიონი | 16 | 0 | 1 | 15 | 11-71 | 1 |

**88-89 წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 3 | 2 | 29-5 | 36 |
| თბილისი | 17 | 10 | 4 | 3 | 40-10 | 34 |
| კოხეთი-1913 | 17 | 10 | 3 | 4 | 29-15 | 33 |
| დინამო (თბ) | 16 | 9 | 5 | 2 | 58-11 | 32 |
| დინამო (ბთ) | 16 | 7 | 5 | 4 | 17-17 | 26 |
| ტორპედო | 17 | 8 | 1 | 8 | 30-30 | 25 |
| ლოკომოტივი | 17 | 4 | 6 | 7 | 27-25 | 18 |
| დილა | 17 | 4 | 5 | 8 | 23-26 | 17 |
| სიონი | 16 | 1 | 3 | 12 | 12-60 | 6 |
| ზესტაფონი | 17 | 1 | 1 | 15 | 3-69 | 4 |

**90-91 წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 16 | 14 | 1 | 1 | 48-11 | 43 |
| ლოკომოტივი | 17 | 13 | 1 | 3 | 56-13 | 40 |
| თბილისი | 17 | 12 | 3 | 2 | 58-10 | 39 |
| დინამო (ბთ) | 16 | 8 | 3 | 5 | 28-31 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 1 | 7 | 23-29 | 25 |
| კოლხეთი1913 | 17 | 4 | 6 | 7 | 20-33 | 18 |
| ტორპედო | 17 | 5 | 1 | 11 | 15-39 | 16 |
| ზესტაფონი | 17 | 4 | 2 | 11 | 19-42 | 14 |
| დილა | 17 | 2 | 3 | 12 | 12-39 | 9 |
| სიონი | 16 | 1 | 3 | 12 | 13-45 | 6 |



თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფეხბურთელისა და დამსახურებული მწვრთნელის გივი ნოდიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მცხეთა — მთიანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფეხბურთელის და დამსახურებული მწვრთნელის გივი ნოდიას გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

# გოგოებს ჯგუფი შეურჩიეს

სავსებით მოსალოდნელი და შესაძლებელია საქართველოს ქალთა ფეხბურთი ევროპულ ასპარეზსს დაუბრუნდეს.

ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის 19 წლამდე გოგოების ნაკრებმა უნდა გადადგას. პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში, მეექვსე შესარჩევ ჯგუფში, 2005-2006 წლების ევროპის ჩემპიონატში ჩვენი მეტოქეები იქნებიან: რუსეთის, ისლანდიის და ბოსნია-ჰერცოგოვინის ნაკრებები. სულ კი პირველ შესარჩევ ეტაპზე ორმოცი გუნდი ათ ჯგუფშია განაწილებული.

# პირველი ლიგა, XXI ტური

რუსთავი — კახეთი 2-1
ჩიხურა — ცხინვალი 2-0
დინამო2 (თბ) — ოლიმპი 2-1
სპარტაკი — ამერი 1-3
ივერია — ლოკომოტივი2 1-2
ვიტ ჯორჯია — გურია 1-1
მალაროელი — ბორჯომი 0-3
საგარეჯო — მილანი-მერანი 0-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 21 | 17 | 2 | 2 | 57-23 | 53 |
| ამერი | 21 | 16 | 1 | 4 | 61-12 | 49 |
| სპარტაკი | 21 | 13 | 6 | 2 | 37-20 | 45 |
| ვიტ-ჯორჯ(მცხ) | 21 | 12 | 5 | 4 | 33-16 | 41 |
| კახეთი | 21 | 12 | 3 | 6 | 35-26 | 39 |
| ცხინვალი | 21 | 10 | 3 | 8 | 26-25 | 33 |
| დინამო2 (თბ) | 21 | 10 | 1 | 10 | 46-34 | 31 |
| გურია | 21 | 8 | 5 | 8 | 23-29 | 29 |
| ჩიხურა | 21 | 7 | 6 | 8 | 23-25 | 27 |
| ლოკომოტივი2 | 21 | 7 | 4 | 10 | 27-34 | 25 |
| რუსთავი | 21 | 7 | 3 | 11 | 28-35 | 24 |
| ივერია | 21 | 6 | 5 | 10 | 20-32 | 23 |
| მილანი-მერანი | 21 | 6 | 3 | 12 | 25-36 | 21 |
| ოლიმპი | 21 | 4 | 4 | 13 | 20-36 | 16 |
| საგარეჯო | 21 | 3 | 5 | 13 | 17-45 | 14 |
| მალაროელი | 21 | 0 | 4 | 17 | 10-60 | 4 |



# ახალი თაობის ფეხბურთელები

# გოგიტა გოგუა: „გაძევებას ნამდვილად ვიმსახურებდი“

## დებიუტანტები

დებიუტანტი შეიძლება იყოს სპორტსმენიც და ჟურნალისტიც... ან ორივე ერთად. კორესპონდენტის და რესპონდენტის დებიუტი პირველად ფიქსირდება „ლელოს“ ფურცლებზე.

აქამდე ჩვენს გაზეთში არაფერი გამოუქვეყნებია ელზა წულაიას, არც ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების დებიუტანტ გოგიტა გოგუაზე დაწერილა ასე ვრცლად „ლელოში“.

მაშ ასე, თქვენს წინაშეა ორი დებიუტანტი.



**ელზა წულაია**

დაიბადა 1984 წლის 14 ივლისს

დაამთავრა თბილისის მე-3 ქართული გიმნაზია

სწავლობს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსზე.

ჰყავს მშობლები და და-ძმა.

* * *

**21 წლის ფეხბურთელი გოგიტა გოგუა საქართველო – თურქეთის მატჩიდან მეორე დღეს მოსკოვში გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ ის რუსულ საკლუბო გუნდ „ხიმკში“ დაახლოებით ორ თვეზე ოდნავ მეტია თამაშობს. საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა. საქართველო – საბერძნეთის მატჩის პირველივე ტაიმში ტრავმა მიიღო, ხოლო საქართველო – თურქეთის მატჩისას მოედნიდან გააძევეს. სასჯელად კიდევ ერთი თამაშის გამოტოვება მოუწევს. ამ და არა მხოლოდ ამ თემაზე სასაუბროდ, გოგიტას შინ ვეწვიე მოსკოვში გამგზავრების წინ. პირდაპირ ვიტყვი: აღსანიშნავია, რომ გოგიტა ისეთივე მშვენიერი რესპონდენტია, როგორც ფეხბურთელი. ინტერვიუზე უყოყმანოდ დამთანხმდა.**

◆ ***შენობით ვისაუბროთ თუ თქვენობით?***

— შენობით, რა თქმა უნდა.

◆ ***როდის დაიბადე და სად?***

— დავიბადე 1983 წლის 1 ოქტომბერს ჩხოროწყუში.

◆ ***რა ასაკიდან იწყება შენი ურთიერთობა სპორტთან?***

— ცხრა წლიდან.

◆ ***სად მიიღე სათამაშო ნათლობა, ვინ იყო პირველი მწვრთნელი?***

— ვთამაშობდი „XXI საუკუნეში“, მწვრთნელი იყო გია ლეჟავა. იქ აღვიზარდე, იქიდან მოვდივარ. შემდეგ იყო „ოლიმპიკი“, „დინამო-2“, „დინამო“.

◆ ***ფეხბურთის გარდა რას საქმიანობ, ალბათ, სწავლობ...***

— მთელ დროსა და ენერგიას ფეხბურთს ვუთმობ.

◆ ***რით ერთობი თავისუფალ დროს, ჰობი თუ გაგაჩნია?***

— თავისუფალ დროს ვკითხულობ, ინტერნეტით და მეგობრებთან ურთიერთობით ვერთობი.

◆ ***თვლი, რომ რაღაცას უკვე მიაღწიე?***

— მიღწევები ჯერ არაფერი მაქვს. ისე, ბოლო წელიწადნახევარი ჩემთვის წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

◆ ***ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდი...***

— დიახ. ისრაელთან მითამაშია შესარჩევი მატჩი, ალბანელებთანაც. შემდეგ „წითელი“ მივიღე.

◆ ***მოკლედ, „წითელი“ არ გშორდება...***

— „წითელი ჩემი ჰობია“.

◆ ***გამოჩენისთანავე მიიქციე ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღება. ელოდი ასეთ აღიარებას?***

— არანაირად. აღიარება იქნებოდა რომ მოგვეგო. რაც შემეხება მე, ვიცოდი, რომ უნდა მეთამაშა ძირითად შემადგენლობაში. ეს უკვე აღიარება იყო...

◆ ***გატუზოს გადარებენ. ვის ეკუთვნის ეს ფრაზა?***

— ბევრს. თავიდან, მგონი დევდარიანმა თქვა, ჩემმა მწვრთნელმა. ისე, რა მაგის პასუხია და, „შხამსაც“ მეძახიან.

◆ ***მაყურებელს გული დასწყდა, როცა საბერძნეთთან თამაშის დროს ტრავმა მიიღე და იძულებული გახდი დაგეტოვებინა მოედანი. არადა, გულშემატკივარს ძალიან ეიმედებოდა შენი. იმდენად, რამდენადაც მართლა თავგანწირულად თამაშობდი და ყველა მიხვდა, რომ ეს ტრავმა თავდადებული თამაშის გამო მიიღე... საინტერესოა, თავად რას ფიქრობ...***

— სწორედ ასეა. იქ ვარდნა იყო. ჩემი ფეხი მის ქუსლზე აღმოჩნდა, თანაც დამარტყა და კუნთი დამეჭიმა. ყველანაირად ვცდილობდი გამეგრძელებინა თამაში, მაგრამ ვერ შევძელი, ძალიან დამწყდა გული.

◆ ***იმედი გქონდათ, რომ თურქეთთან მოიგებდით. რას ემყარებოდა გუნდის ოპტიმიზმი. ან რა მოხდა, რამ განაპირობა ჩვენი მარცხი?***

— ბერძნებთან მარცხის შემდეგ, მეც ვფიქრობდი, რომ მეტოქე არ იყო ჩვენზე ძლიერი. უბრალოდ, გაუმართლათ. ბერძნებზე ძლიერი გუნდი თურქეთს თუ ჰყავდა, ნამდვილად არ მეგონა. იქნებ მეტოქე კარგად ვერ შევაფასეთ. ახლა მჯერა, რომ თურქები უფრო ძლიერები ყოფილან, ვიდრე ბერძნები.



◆ ***ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი, ითამაშეს?***

— ვერ ვითამაშეთ. რაღაც გვაკლია. მგონი უფრო თავდადებული თამაში. გარდა ამისა, პირველი მარცხის შემდეგ ფსიქოლოგიურად ვერ აღვადგინეთ ძალები. საბერძნეთთან მარცხმა ძალიან გაგვტეხა. შეგვეძლო უკეთ გვეთამაშა. საქართველოს ნაკრებს ნამდვილად მეტი შეუძლია. წარმატებებს აუცილებლად მივაღწევთ. რას ვიზამთ. თუ ამ ეტაპზე ასე მოხდა, მთავარია, მოვინდომოთ და ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გულშემატკივართა მხარდაჭერას. ჩვენ კი ამის დეფიციტს განვიცდით.

ვფიქრობ, ქომაგები ჩვენს გვერდით არ არიან. რაც იქ ხდებოდა, თანადგომა არ არის. ვიცი, მაშინაც კი, როცა გუნდი აგებს დიდი ანგარიშით, გულშემატკივრები ამხნევებენ. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა. ტრიბუნიდან როცა ერთ-ერთ მოთამაშეს აგინებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ გუნდს და მთელ ქვეყანას აგინებ: ასე არ შეიძლება.

გუნდზე იმას ვიტყვი, რომ ჩვენც ძლიერი მოთამაშეები გვყავს: კალაძე, კობიაშვილი... უბრალოდ, უფრო მეტი შეთამაშება გვინდა ერთმანეთში.

◆ ***გაძევებას იმსახურებდი?***

— ნამდვილად ვიმსახურებდი. ყვითელი ბარათი არ ვიცი რამდენად რეალური იყო, მაგრამ მეორეს სამართლიანად მივიჩნევ. ვიცი, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ მეტი მინდოდა გამეკეთებინა, ვიდრე გავაკეთე. ეს, ალბათ, წინდაუხედაობამ და გამოუცდელობამ გამოიწვია. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს.

◆ ***მოდი, ჩვეულებრივ, ადამიანურ ცხოვრებას დავუბრუნდეთ. შენი ცხოვრების წესზე მოგვიყევი რამე.***

— ვცხოვრობ ჩვეულებრივი ცხოვრებით, მიყვარს მეგობრებთან ყოფნა, თუმცა, ამ ბოლო დროს ამის დრო ნაკლებად მრჩება. ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს.

◆ ***როგორი ურთიერთობა გაქვს გულშემატკივრებთან? გავიგე, რომ თინეიჯერი გოგონები გქომაგობენ.***

— მსიამოვნებს გულშემატკივართა ყურადღება, მათთან გასაუბრება, მაგრამ, როცა ვარჯიშზე ავტოგრაფებს გთხოვენ, ეს მეტისმეტია, ამ დროს მხოლოდ ვარჯიშზე უნდა იფიქრო.

◆ ***ოჯახის შემადგენლობას ხომ არ გაგვაცნობდი...***

— დაოჯახებული არა ვარ. მყავს დედა, მამა, და და ძალიან ბევრი ნათესავი, რომლებიც გვერდში მიდგანან...

◆ ***როგორ ეგუები ოჯახთან განშორებას?***

— ცხადია, მიჭირს, რადგან ეს პროცესი ზოგჯერ თვეობით გრძელდება.

◆ ***ფეხბურთი რომ არა, სპორტის რომელ სახეობას აირჩევდი?***

— ბავშვობაში კარატე მიტაცებდა, წარმატებებიც მქონდა, მაგრამ ეს ფეხბურთამდე იყო. ერთი პერიოდი დილემის წინაშეც კი ვიდექი, — ფეხბურთი ამერჩია თუ კარატე. როგორც ხედავთ, ფეხბურთის სასარგებლოდ გავაკეთე არჩევანი.

◆ ***ვინ არის საკლუბო გუნდიდან ისეთი ფეხბურთელი, ვისაც მეგობრად მიიჩნევ?***

— ლომაიასთან ვმეგობრობ, რომელიც ჩემს გვერდით თამაშობს.

◆ ***ნაკრებში?***

— ძნელი სათქმელია. საერთოდ, მეგობრული გუნდი ვართ.

◆ ***კმაყოფილი ხარ იმ ამპლუით, რომელიც თქვენ გეკისრებათ გუნდში?***

— რა თქმა უნდა. დიდი ხანია ნახევარმცველი ვარ.

◆ ***როგორი ურთიერთობა გაქვს კლუბისა და ნაკრების მწვრთნელებთან?***

— ძალიან კარგი. მომწონს მათი ტაქტიკა. რადგან ინდივიდუალურადაც მუშაობენ ფეხბურთელებთან თუ რამე შეცდომას დაუშვებს. ეს მისასალმებელია.

◆ ***რას ფიქრობ ალენ ჟირესზე?***

— რომ მოვიდა, შესანიშნავი შედეგი აჩვენა პირველ ორ ტურში. ხმები დადის, თითქოს მის შეცვლას გეგმავენ. მე ეს უაზრობად მიმაჩნია. არ შეიძლება ყველაფერი მწვრთნელს დაბრალდეს.

◆ ***რა განცდა გეუფლება მატჩის წინ. წინასასტარტო მღელვარება თუ გეუფლება?***

— ადრე ვნერვიულობდი ნებისმიერი თამაშის წინ. ახლა — არა. როცა საქართველოს დროშის ქვეშ დგახარ და ჰიმნს მღერი, ყველანაირი მღელვარება ქრება რაგინდ ძლიერი მეტოქე გყავდეს.

◆ ***მოგება და წაგება ძმები არიანო, ამბობენ...***

— მე ასე არ მიმაჩნია. ამხანაგური გუნდების შეხვედრაზე კიდევ შეიძლება. მაგრამ პრინციპულ მატჩში გუნდს ღირსებას მხოლოდ მოგება ჰმატებს.

◆ ***გიფიქრია რას გააკეთებ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ. იქნებ მწვრთნელობაზე ოცნებობ?***

— აბა, რა გითხრა, თუ ვინმეს ჩემი დახმარება დასჭირდება, არ დავზარდები. მზად ვარ ნებისმიერ ბავშვს ან მოზრდილს დავეხმარო. რაო, მწვრთნელი? — რატომაც არა! ვნახოთ. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

◆ ***როგორც ვიცი, უცხოური გუნდები „აუსტრია“ და „იენა“ გიწვევდა. რამ განაპირობა შენი არჩევანი რუსული „ხიმკის“ სასარგებლოდ?***

— ვაპირებდი ეს სეზონი საქართველოში დამესრულებინა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ აქ დარჩენით ვერაფერს მოვიგებდი და ვერც ვერაფერს შევმატებდი ჩემს კარიერას. „აუსტრიაში“ ხელმძღვანელობა აირია და ვერ მოხერხდა. ისევ რუსეთი, სიცივე და ყინვა ვარჩიე — 4-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

◆ ***არის თუ არა შენთვის ფინანსური უზრუნველყოფა გადამწყვეტი ამ შემთხვევაში?***

— არანაირად. ეს ჩემთვის მეორეხარისხოვანია.

◆ ***სად ისურვებდი თამაშს?***

— გერმანიის რომელიმე გუნდში. თუნდაც, კობიაშვილის გვერდით — „შალკეში“.

◆ ***შენ დღეს მიემგზავრები მოსკოვში. როდის ჩამოხვალ?***

— ალბათ, დიდი ხანი ვერ ჩამოვალ. სხვა საქმეა, როცა ნაკრებში დამიძახებენ. ახლა „წითელი“ მივიღე და ერთი თამაშის გამოტოვება მომიწევს. ვიცი, წასვლისთანავე მომენატრება საქართველო.

◆ ***ვფიქრობ, ჩემთვის და მკითხველისთვის ბევრ საინტერესო კითხვაზე მივიღე პასუხი. მაგრამ, იქნებ დარჩა, უფრო სწორად დაგრჩა, ისეთი რამ სათქმელი, რომელზედაც გინდა ყურადღების გამახვილება. გისმენ!***

— ვისურვებდი, რომ ასეთი მარცხი სხვა დროს არ განმეორებულიყოს. მომავალში გამარჯვებები ყოფილიყოს ჩვენი თანამდევი. გულშემატკივარი მინდა დავარწმუნო, რომ ჩვენ შეგვიძლია პროფესიულ დონეზე ვითამაშოთ ფეხბურთი. გამხნევება გვჭირდება. მახვილი საგნების სროლითა და გინებით პრობლემები არ გადაიჭრება. ეს მხოლოდ ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშამდე მიგვიყვანს. ყველას მინდა ვთხოვო ვიყოთ ერთად. გულშემატკივრობა უპირველესად იმას ნიშნავს, გვერდში ედგე გუნდს წარმატებაშიც და ხელმოცარვაშიც. ძალიან მინდა, რომ ერთგულება ერთგულებას ჰგავდეს...

**ესაუბრა ელზა წულაია.**

# დიალოგი არგენტინასთან...

**ჩვენს გაზეთში ქვეყნდებოდა განცხადება არგენტინაში ახალგაზრდა ფეხბურთელთა სტაჟირებაზე მიწვევასთან დაკავშირებით თქვენი პროექტის შესაბამისად. ამჟამად ამ პროექტით საქართველოდან თქვენთან იმყოფება თემურ მჟავანაძე.**

**უმორჩილესად გთხოვთ გვიპასუხოთ:**

**— თემურ მჟავანაძემ საქართველო დატოვა მენისკის ოპერაციის შემდეგ 8 თვის უვარჯიშებელმა. ამას ხელი ხომ არ შეუშლია პროექტის განხორციელებაში?**

**— მოსაწონი იყო თუ არა თქვენთვის თემურ მჟავანაძის, როგორც ცენტრალური მცველის ფიზიკური და ტექნიკური მონაცემები?**

**— როგორია სტაჟიორის საყოფაცხოვრებო და სავარჯიშო პირობები?**

**— თემურ მჟავანაძე სამთვიან სტაჟირებაზეა თქვენთან. ეს პერიოდი საკმარისია მისი დაოსტატებისთვის?**

**— გაქვთ თუ არა სურვილი ჩამობრძანდეთ საქართველოში?**

**მადლობას მოგახსენებთ გულისხმიერებისთვის.**

**მუდამ მოხარული ვიქნებით თქვენთან თანამშრომლობის.**

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი.**

**ელფოსტით გაგზავნილ ჩვენს შეკითხვებს უმალვე მოჰყვა პასუხი. აი, ისიც:**

ბატონო რედაქტორო, მადლობას გიხდით თქვენს მიერ გამოხატული ინტერესის გამო ჩვენი პროექტისადმი, რომლის მიზანია ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება ფეხბურთში და წვლილი შევიტანოთ მის გასაუმჯობესებლად.



გაცნობებთ, რომ ფეხბურთელი თემურ მჟავანაძე კარგად გრძნობს თავს. ექიმ პავლო პერჩესკისთან ერთად, რომელიც გახლავთ უმაღლესი ლიგის ჩაკარიტა ხუნიორსის ექიმი ტრავმატოლოგი. ჩატარდა გამოკვლევა მუხლის ტრავმასთან დაკავშირებით და დაენიშნა რეაბილიტაცია — ზღვის ქვიშაზე შესაბამისი ფიზიკური ვარჯიშებით. პასუხისმგებლობა ავიღე ჩემს თავზე და გავემგზავრეთ მარ დელ-პლატის ზღვაზე, სან კლემენტეში. იქ დაგვჭირდა სულ 7 დღე მუხლის აღდგენითი ვარჯიშების ჩასატარებლად. შემდეგ დავბრუნდით ბუენოს აირესში ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრში, რათა გაგვეგრძელებინა ვარჯიშები ბურთის ფლობასა და კოორდინაციაზე. მიუხედავად, იმ პერიოდისა, რაც უვარჯიშებელი იყო, დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ ის სავსებით განიკურნა და უკვე ჩაატარა გუნდთან ერთად 5 თამაში უპრობლემოდ. მას გააჩნია შესაბამისი საცხოვრებელი პირობები, ძალიან კარგი კვება, კარგადაც ვარჯიშობს ცენტრში. კლუბებში ვარჯიში, ჯერჯერობით ნაადრევია. მინდა გაცნობოთ, რომ 3 თვე არ იქნება საკმარისი მისი სტაჟირებისათვის. ვფიქრობ, საჭირო გახდება ვადის ორი თვით გაგრძელება, რათა შეძლოს ნებისმიერ მეტოქეს შეეწინააღმდეგოს და ითამაშოს პროფესიულ დონეზე.

რაც შეეხება ჩვენს წარმომადგენელს საქართველოში ბატონ ნიკო პატარქალიშვილს, მან თემურს გაუწია დიდი დახმარება ენის პრობლემაში. ახლა კი თემური დღითი დღე სრულყოფს ესპანურ ენას და უკვე საუბრობს არგენტინელ მეგობრებთან.

რაც შეეხება ჩემს სტუმრობას საქართველოში, სიამოვნებით გავეცნობი ულამაზეს ქვეყანას და მის მდიდარ ისტორიას. ღვთის წყალობით ამას შევძლებ და მომეცემა საშუალება გავუზიარო ჩემი სამწვრთნელო გამოცდილება ახალგაზრდებს, ამასთან, მოვიწვიო არგენტინაში ისინი, ვისაც სურთ გაიარონ სტაჟირება მარადონას ქვეყანაში.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ჩვენი პროექტის მიმართ გამოხატული ინტერესისათვის.

გესალმებით, ულრმესი პატივისცემით

ღმერთმა დაგლოცოთ,




# ჩემპიონთა ლიგაზე და უეფას თასზე

დღეს და ხვალ გაიმართება ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები, ხოლო ხუთშაბათს — უეფას თასის გათამაშების შეხვედრები. გთავაზობთ თამაშების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტებთან ერთად.

**ჩემპიონთა ლიგა**

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| **12 აპრილი** | | | |
| ბაიერნი — ჩელსი | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ინტერი — მილანი | 2,62 | 2,90 | 2,50 |
| **13 აპრილი** | | | |
| პსვ — ლიონი | 2,25 | 3,10 | 2,80 |
| იუვენტ. — ლივერპ. | 1,50 | 3,40 | 6,00 |
| **უეფას თასი. 14 აპრილი** | | | |
| ალკმაარი—ვილიარეალი | 2,30 | 3,20 | 2,62 |
| ოსერი — ცსკა | 1,83 | 3,30 | 3,60 |
| პარმა — აუსტრია | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| სპორტინგი—ნიუკასლი | 1,90 | 3,25 | 3,40 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონობისათვის ბრძოლა მძაფრდება

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის 31-ე ტურში „სუპერკლასიკოდ“ წოდებული მატჩი მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ შორის შედგა. მადრიდელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ იმედს, რათა შეენარჩუნებინათ ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვების შანსი.**

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდელებმა პირველივე წუთიდან შეუტიეს ფრანკ რაიკაარდის გუნდს და უკვე მე-6 წუთზე ზინედინ ზიდანმა გახსნა ანგარიში, 13 წუთში რონალდომ მეორედ აიღო მეტოქის კარი. ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა. „ბარსელონა“ გონს მოეგო და 27-ე წუთზე ეტო'ომ ერთი გოლი გაქვითა. როცა გუნდები შესვენებაზე გავიდნენ, ტაბლოზე 2-1 ეწერა.

განახლდა თუ არა თამაში, რაულმა მესამე გოლი გაიტანა, ამას ოუენის გოლი მოჰყვა და „რეალი“ უკვე 4-1 იგებდა. დარჩენილ დროში რონალდინიომ მოახერხა საპასუხო გოლის გატანა კასილიასის კარში, — ეს 72-ე წუთზე მოხდა. აღსანიშნავია მადრიდელთა გოლკიპერის კარგი თამაში, — მან რამდენჯერმე აშკარა გოლისაგან იხსნა კარი.



საბოლოოდ, „რეალმა“ 4-2 იმარჯვა და სხვაობა ერთპიროვნულ ლიდერთან 6 ქულამდე შეამცირა. „ბარსელონას“ 69 ქულა აქვს. „რეალს“ — 63.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„რეალი“:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, [illegible]ვონი, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, გრავესენი, რონალდო, ზიდანი (სელადესი, 90), რაული (სოლარი, 85), ოუენი (ფიგუ, 82).

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, მარკესი, ინიესტა, ჩავი, ჟიული (მაქსი ლოპესი, 66), რონალდო, ეტო'ო (დამია, 78).

„ვალენსიამ“ სამი ქულა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაუშვა ხელიდან. მანამდე 2-1 იგებდა „მალაგასთან“ და დუდას გოლმა ფრე დააფიქსირა — 2-2.

**სხვა მატჩები:** „ნუმანსია“ — „ატლეტიკო“ 1-0, „ბილბაო“ — „სოსიედადი“ 3-0, „ბეტისი“ — „ლევანტე“ 2-2, „ესპანიოლი“ — „სევილია“ 1-3, „ოსასუნა“ — „რასინგი“ 1-0, „მალიორკა“ — „სარაგოსა“ 0-2, „დეპორტივო“ — „ვილიარეალი“ 1-1.

**მომდევნო ტური. 16-17 აპრილი.** „ალბასეტე“ — „მალაგა“, „ბარსელონა“ — „ხეტაფე“, „ატლეტიკო“ — „ესპანიოლი“, „რასინგი“ — „ბილბაო“, „სოსიედადი“ — „დეპორტივო“, „სარაგოსა“ — „ნუმანსია“, „მალიორკა“ — „ვალენსია“, „სევილია“ — „ოსასუნა“, „ლევანტე“ — „რეალი“, „ვილიარეალი“ — „ბეტისი“.

**იტალიის სერია „ა“-ს ლიდერებმა** 30-ე ტურში თავიანთი მატჩები ფრედ დაასრულეს. „მილანი“ საკუთარ მოედანზე „ბრეშას“ მასპინძლობდა. მე-14 წუთზე რუი კოშტამ დააწინაურა კარლო ანჩელოტის გუნდი. საბოლოო გამარჯვებამდე მასპინძლებს სამი წუთი დააკლდათ — ვომემ წონასწორობა აღადგინა — 1-1.

**„მილანის“ შემადგენლობა:** დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, ნესტა, სერჟინიო, სეედორფი (პანკარო, 69), გატუზო (კრესპო, 87), პირლო, რუი კოშტა, შევჩენკო, ტომასონი (ამბროზინი, 62).

ტურინის „იუვენტუსი“ სტუმრად სამჯერ აგებდა „ფიორენტინასთან“, მაგრამ სამივეჯერ სტუმრებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა და შეხვედრა 3-3 დასრულდა. ტურინელთაგან ორი გოლი იბრაჰიმოვიჩმა გაიტანა, ერთი — დელ პიერომ.

**„იუვენტუსი“:** ბუფონი, ბირინდელი (სალაიეტა, 46), ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, ტაკინარდი (აპია, 80), კამორანეზი, პესოტო (მონტერიო, 46), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, დელპიერო.

ამრიგად, „მილანსაც“ და „იუვენტუსსაც“ 67-67 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა „ინტერი“ 53 ქულით.

**სხვა მატჩები:** „ბოლონია“ — „ინტერი“ 0-1, უდინეზე“ — „რომა“ 3-3, „კალიარი“ — „სამპდორია“ 0-0, „პალერმო“ — „მესინა“ 2-1, „ლაციო“ — „ლივორნო“ 3-1, „ლეჩე“ — „სიენა“ 2-2, „რეჯინა“ — „პარმა“ 1-3, „ატალანტა“ — „კიევო“ 3-0.

**მომდევნო ტური. 16-17 აპრილი.** „ბრეშა“ — „ატალანტა“, „ინტერი“ — „კალიარი“, „ლივორნო“ — „ფიორენტინა“, „ბოლონია“ — „ლაციო“, „იუვენტუსი“ — „ლეჩე“, „სიენა“ — „მილანი“, „სამპდორია“ — „პალერმო“, „კიევო“ — „პარმა“, „რომა“ — „რეჯინა“, „მესინა“ — „უდინეზე“.

**ინგლისის პრემიერლიგის** 32-ე ტურში ერთპიროვნული ლიდერი ლონდონის „ჩელსი“ საკუთარ მოედანზე ფრეს (1-1) დასჯერდა „ბირმინგემთან“ შეხვედრაში. უგოლოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ პანდინიმ დააწინაურა სტუმრები, მაგრამ მატჩის მიწურულს დროგბამ წონასწორობა აღადგინა...

**„ჩელსი“:** ჩეხი, გლენ ჯონსონი (ოპრომჩიკი, 69), ჰუთი, ტერი, გალასი, ლემპარდი, სმერტინი (გუდიონსენი, 46), ჯო კოული, დაფი, ტიაგო, კეჟმანი (დროგბა, 46).

„ჩელსის“ 81 ქულა აქვს და 11 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს ლონდონის „არსენალს“. არსენ ვენგერის გუნდმა პირესის ერთადერთი გოლის წყალობით 1-0 დაამარცხა „მიდლსბრო“. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს“, ეს გუნდი 0-2 დამარცხდა სტუმრად „ნორვიჩთან“ და 67 ქულით მესამე ადგილზეა.

**სხვა მატჩები:** „მანჩესტერ სიტი“ — „ლივერპული“ 1-0, „ბოლტონი“ — „ფულემი“ 3-1, „პორტსმუთი“ — „ჩარლტონი“ 4-2, „ბლექბერნი“ — „საუთჰემპტონი“ 3-0, „ასტონ ვილა“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 1-1, „ევერტონი“ — „კრისტალ პალასი“ 4-0, „ტოტენჰემი“ — „ნიუკასლი“ 1-0...

**მომდევნო ტური. 16-17 აპრილი.** „არსენალი“ — „ევერტონი“, „ბირმინგემი“ — „პორტსმუთი“, „ჩარლტონი“ — „ბოლტონი“, „კრ. პალასი“ — „ნორვიჩი“, „ფულემი“ — „მანჩესტერ სიტი“, „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ჩელსი“, „ნიუკასლი“ — „მიდლსბრო“, „საუთჰემპტონი“ — „ასტონ ვილა“, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ბლექბერნი“.

**გერმანიის ბუნდესლიგის** ჩემპიონობისათვის აქამდე ორი გუნდი იბრძოდა — „ბაიერნი“ და „შალკე“. 28-ე ტურის შემდეგ კი მათ „შტუტგარტი“ წამოეწია, რომელმაც ცენტრალურ მატჩში საკუთარ მოედანზე ლევან კობიაშვილის „შალკე“ გაანადგურა 3-0. სამივე გოლი კურანის ანგარიშზეა.



**გუნდების შემადგენლობა:**

**„შტუტგარტი“:** ჰილდე ბრანდი, ჰინკელი, მეირა, ჟივკოვიჩი, შტრანცლი (ლამი, 69), სოლდო, მაისნერი, ტიფერტი (ჰ ელდ ტი, 81), გლები, კაკაუ, კურანი (შტრელერი, 87).



**„შალკე“:** როსტი, ბორდონი, როდრიგესი, პანდერი, (ფერმანტი, 37), კობიაშვილი, კამფუისი, პოულსენი, ლინკოლნი, ასამოა (ალთინთოფი, 62), ჰანკე, აილტონი (ლამოტი, 76).

ამ გამარჯვებით „შტუტგარტმა“ 54 ქულა მოაგროვა, მესამე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ „შალკეს“. მიუნხენის „ბაიერნს“ კი 59 ქულა აქვს. ამ გუნდმა 30-ე ტურში საკუთარ მოედანზე 2-1 დაამარცხა „მიონხენგლადბახი“.

**სხვა მატჩები:** „ჰერტა“ — „ფრაიბურგი“ 3-1, „ლევერკუზენი“ — „დორტმუნდი“ 0-1, „ბოხუმი“ — „ჰანოვერი“ 1-0, „მაინცი“ — „ვოლფსბურგი“ 0-2, „ჰამბურგი“ — „ვერდერი“ 1-2, „ნიურნბერგი“ — „ჰანზა“ 3-0, „არმინია“ — „კაიზერსლაუტერნი“ 0-2.

**მომდევნო ტური. 16-17 აპრილი.** „მიონხენგლადბახი“ — „მაინცი“, „ჰანოვერი“ — „ბაიერნი“, „კაიზერსლაუტერნი“ — „ბოხუმი“, „დორტმუნდი“ — „არმინია“, „ფრაიბურგი“ — „ლევერკუზენი“, „ვერდერი“ — „ჰერტა“, „შალკე“ — „ჰამბურგი“, „ჰანზა“ — „შტუტგარტი“, „ვოლფსბურგი“ — „ნიურნბერგი“.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** 32-ე ტურის მატჩების შედეგები: „ნანტი“ — „ლიონი“ 2-2, პსჟ — „ბორდო“ 1-1, „სტ. ეტიენი“ — „ბასტია“ 3-0, „სტრასბური“ — „მარსელი“ 1-0, „ტულუზა“ — „რენი“ 0-2, „კაენი“ — „მეცი“ 0-1, „ისტრი“ — „სოშო“ 2-0, „ლანსი“ — „ნიცა“ 0-0 „აიაჩო“ — „ოსერი“ 4-3.

სატურნირო ცხრილში 66 ქულით კვლავ „ლიონი“ ლიდერობს, რომელიც 14 ქულით უსწრებს „ლილსა“ და „მარსელს“.

## ჩალაძე ისევ „სკონტოშია“

**რიგის „სკონტოს“ რიგებს დაუბრუნდა ქართველი თავდამსხმელი დავით ჩალაძე. 29 წლის ფორვარდმა 2001 წელს დატოვა ეს გუნდი და რუსულ „რუბინში“ გადავიდა. როგორც ჩანს, რიგელებს ისევ დასჭირდათ ჩალაძის დახმარება.**

**„დავით ჩალაძესთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია. გადასაწყვეტი გვაქვს მხოლოდ ტექნიკური საკითხები. მთავარი ის არის, რომ ქართველი ფეხბურთელი უკვე შეყვანილია საჩემპიონატო განაცხადში“, — ამბობს „სკონტოს“ მენეჯერი გენადი კარავაევი.**

**შეგახსენებთ, რომ ჩალაძეს „სკონტოს რიგებში“ 77 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე... 72 გოლია! 2000 წელს ქართველი ფორვარდი ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იყო.**

## დევიდ ტრეზეგე: „საბოლოოდ, მაინც მივაღწევთ ჩვენსას“

**ტურინის „იუვენტუსი“ მონდომებით ემზადება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩისათვის „ლივერპულთან“. პირველ მატჩში ფაბიო კანავაროს მიერ გატანილმა გოლმა (1-2) „ბებერ ქალბატონს“ ნახევარფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა. იმედიანადაა განწყობილი „იუვენტუსის“ ფორვარდი დევიდ ტრეზეგე, რომელიც გულშემატკივრებს „ლივერპულის“ კარში გოლის გატანას ჰპირდება. გთავაზობთ დევიდ ტრეზეგეს მიერ უეფას ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუს.**

◆ ***ამ სეზონში ხშირად გდევდათ ტრავმები...***

— თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ მაშინ, როცა ტრავმის გამო მოედანზე არ ვთამაშობ. ჩემს გარეშე „იუვენტუსის“ ფეხბურთელებმა დიდი სამუშაო შეასრულეს. ახლა კი ჩემი ჯერიც დადგა, — უნდა მოვუტანო კლუბს წარმატება. მადრიდის „რეალის“ კარში გოლი რომ გავიტანე, ბედნიერი ვიყავი. ამან საკუთარი ძალების რწმენა შემმატა.



◆ ***ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებებში „იუვენტუსს“ მატჩების უმრავლესობა ერთნაირი ანგარიშით — 1-0 აქვს მოგებული. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი გუნდი შეძლებს „ლივერპულის“ დამარცხებას თუნდაც ამ მინიმალური ანგარიშით?***

— განმეორებით შეხვედრას საბრძოლო განწყობით ვხვდებით, მაგრამ წინასწარ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. წინა რაუნდში მადრიდის „რეალი“ ჩამოვიცილეთ, თითქოს „ლივერპულის“ დამარცხებაც არ უნდა იყოს გადაუჭრელი ამოცანა, მაგრამ... ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ, ორგანიზებულად, მონდომებით ვითამაშოთ და მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

◆ ***ორიოდე სიტყვა თქვენს მეტოქეზე — „ლივერპულზე“.***

— ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ინგლისში. „ლივერპული“ წელს შესანიშნავ ფორმაშია, რაც ამ გუნდის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლითაც გამოიხატა. დარწმუნებული ვარ, „ლივერპული“ მომავალ სეზონშიც კარგად იასპარეზებს.

◆ ***რა არის ტურინის „იუვენტუსის“ მთავარი კოზირი?***

— როცა გოლი ვერ გაგვაქვს, ცივსისხლიანობას ვინარჩუნებთ, — დარწმუნებულნი ვართ, რომ საბოლოოდ მაინც მივაღწევთ ჩვენსას.

## «ახალი გასქოინი»

ჯო კოული ლონდონის „ჩელსის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მისთვის წლევანდელი სეზონი მართლაც რომ წარმატებულია. ჯო კოული უკვე დარწმუნებულია, რომ ლონდონის „ჩელსისთან“ ერთად ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონი გახდება, თუმცა, ისიც კარგად ესმის, რომ ბოლომდე სიფხიზლეა საჭირო.

„ჩვენ პრემიერლიგაში 13 ქულით ვუსწრებთ უახლოეს მდევრებს. გარდა ამისა, გავიმარჯვეთ ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მიუნხენის „ბაიერნთან“. თუ ნახევარფინალში გავალთ, ალბათ, „მილანს“ შევხვდებით. მოკლედ, სერიოზული და მძიმე ბრძოლები გველის. მჯერა, რომ სეზონს ორივე ტურნირში წარმატებით დავასრულებთ, — „ჩელსი“ მართლაც რომ ბრწყინვალედ არის დაკომპლექტებული,“ — ამბობს ჯო კოული უეფას ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუში.



თავიდანვე ჯო კოულში მომავალ ვარსკვლავს ხედავდნენ. როცა ჯერ კიდევ „ვესტ ჰემში“ გამოდიოდა, პრესამ „ახალ პოლ გასქოინად“ მონათლა. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ჯო კოული მოუტანს ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. უკვე ოცი წლის ასაკში მიიწვია სვენ-გორან ერიქსონმა ქვეყნის მთავარ გუნდში... ჯო კოული მართლაც რომ ბრწყინვალე ტექნიკით გამოირჩეოდა, მაგრამ იმავე დროს შეცდომებსაც უშვებდა... მოგვიანებით ის არასტაბილურ მოთამაშედაც მონათლეს.

„იმ დროს მართლაც ხშირად წერდნენ ჩემზე. შეცდომებს იმიტომ ვუშვებდი, რომ ბურთს საჭირო დროს ხშირად თანაგუნდელს კი არ გადავცემდი, არამედ, ფინტს ვასრულებდი. ახლა სხვაგვარად ვთამაშობ: როცა ვხედავ კარგ პოზიციაზე მყოფ ჩემს თანაგუნდელს, ბურთს მაშინვე მას ვაწვდი“, — ამბობს ჯო კოული.

ამ ფეხბურთელში ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ 9,3 მილიონი ევრო გადაიხადა. ახალ გუნდში ჯო კოული „მეორედ დაიბადა“. მან საკუთარი ძალებიირწმუნა. ჯო კოულის პროგრესის მთავარი რეცეპტი მწვრთნელია — პორტუგალიელი სპეციალისტი ჟოზე მოურინიო.

„მოურინიო დიდებული მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით უფრო საიმედოდ ვთამაშობ“, — ეს სიტყვები ჯო კოულს ეკუთვნის.

## „იუვენტუსი“ ბაროშით დაინტერესდა

ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა ამ დღეებში დაიწყებს მოლაპარაკებებს „ლივერპულის“ წარმომადგენლებთან ჩეხი ფორვარდის მილან ბაროშის შეძენასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულის“ მოთამაშით ასევე დაინტერესებულია ესპანური „ვალენსია“.

## ლუშემბურგო იმედოვნებს, რომ პოსტს შეინარჩუნებს

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონშიც უხელმძღვანელებს ამ კლუბს.

„ჩემი კონტრაქტი ერთწლიანია და ვფიქრობ, მანამდე არ გამაძევებენ გუნდიდან“, — განაცხადა ლუშემბურგომ, რომელიც კმაყოფილია „ბარსელონასთან“ გამარჯვების მოპოვებით.

— „ბარსელონა“ განაგრძობს ერთპიროვნულ ლიდერობას და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩვენ დარჩენილ მატჩებშიც გამარჯვებისთვის და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ,“ — ამბობს მადრიდელთა მწვრთნელი.

## პირლო ლეგენდარულ რივერას შეადარა

**იტალიის საფეხბურთო კლუბ „მილანის“ პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კმაყოფილება გამოხატა ანდრეა პირლოს ბრწყინვალე თამაშის გამო ბოლო პერიოდში. გალიანიმ ეს ფეხბურთელი ლეგენდარულ ჯიჯი რივერას შეადარა.**

## ბურთი „ვარსკვლავების“ ავტოგრაფებით

**ვიეტნამში აუქციონზე სხვადასხვა ნივთებთან ერთად გასაყიდად გაიტანეს ფეხბურთის ბურთი მადრიდის „რეალის“ მოთამაშეთა ავტოგრაფებით. ბურთი გოლფ კლუბმა „ჩილინსტარმა“ შეიძინა 34 ათას დოლარად. აუქციონზე შემოსული მთელი თანხა მოხმარდება ინვალიდ ბავშვებს.**

# ნბა

## პირველად მაიკლ ჯორდანის ეპოქის შემდეგ

ნბა-ს გუნდმა „ჩიკაგომ“, რომელმაც წლევანდელი სეზონი 9-მატჩიანი დამარცხებათა სერიით დაიწყო, საკუთარ მოედანზე „ტორონტოსთან“ მოპოვებული გამარჯვების (110-97) წყალობით. პირველად, ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის ეპოქის დასრულების შემდეგ, მოიპოვა ფლეი-ოფში თამაშის უფლება. ბოლოს ეს ბედნიერება ჩიკაგოელებს 7 წლის წინ ხვდათ წილად.

წლევანდელ ტრიუმფში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჰინდრიჩსა და ჩანდლერს. ჰინდრიჩმა 25 ქულა მოაგროვა და 8 შედეგიანი გადაცემა შეასრულა „ტორონტოსთან“ შეხვედრაში. რაც შეეხება ჩანდლერს, ამ უკანასკნელმა „ჩიკაგოს“ 18 ქულა შესძინა და 21-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

დაძაბული გამოდგა შეხვედრა „კლიპერსსა“ და „სან ანტონიოს“ შორის. მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 105:105. როცა დამატებითი დრო ამოიწურა, ანგარიში კვლავ თანაბარი იყო — 116:116. მხოლოდ მეორე დამატებით დროში შეძლეს „სან ანტონიოს“ კალათბურთელებმა გამარჯვების მოპოვება — 125:124 „სან ანტონიოს“ შემადგენლობაში ბრწყინავდა ჟინობილი, რომელმაც 40 ქულა დააგროვა.

„დენვერმა“ საკუთარ მოედანზე აღმავლობით ითამაშა „სიეტლის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 121:105. მასპინძელთა რიგებში საუკეთესო იყო ენტონი (24 ქულა), ხოლო „სიეტლის“ შემადგენლობაში — რეი ალენი (32).

„ფინიქსის“ ლიდერმა სტაუდმაიერმა „ჰიუსტონთან“ შეხვედრაში 32 ქულა მოაგროვა და 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, მაგრამ მაინც ვერ უშველა თავის გუნდს — „ფინიქსი“ დამარცხდა ერთი ქულის სხვაობით — 97:98. „ჰიუსტონში“ ყველაზე შედეგიანი მაკგრეიდი იყო 34 მოპოვებული ქულით.





„კლივლენდის“ ლიდერისათვის — ჯეიმსისათვის ნამდვილი ბენეფისი გამოდგა შეხვედრა ზაზა ფაჩულიას „მილუოკთან“. ჯეიმსი მოედანზე ყველაზე საუკეთესო იყო. მან „კლივლენდს“ 40 ქულა შესძინა, 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 10 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მისმა გუნდმა მეტოქე 3 ქულის სხვაობით დაამარცხა — 98:81.

სხვა მატჩები: „ვაშინგტონი“ — „ფილადელფია“ 106:112, „დალასი“ — „იუტა“ 88:81, „ნიუ ჯერსი“ — „ბოსტონი“ 99:86, „ატლანტა“ — „მინესოტა“ 105:98.

**გუშინ** კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა. გამარჯვებული „სან ანტონიოსა“ და „გოლდენ სტეიტს“ შორის მეორე ოვერტაიმმა გამოავლინა. „სან-ანტონიომ“ საბოლოოდ 136:134 იმარჯვა.

„ნიუ ორლეანი“ საკუთარ მოედანზე 81:90 დამარცხდა „პორტლენდთან“. „საკრამენტომ“ მოახერხა „ლეიკერსის“ დამარცხება — 124:105.

**სხვა მატჩები:** „ინდიანა“ — „ნიუ-იორკი“ 112:113 (ო.ვ.) „მემფისი“ — „შარლოტა“ 102:95, „მაიამი“ — „დეტროიტი“ 72:80.

## დევენპორტმა შარაპოვას გადაუსწრო...

**გუშინ გამოქვეყნდა ვტა-სა და ატპ-ს მორიგი რეიტინგები ჩოგბურთელებისათვის.**

ქალთა შორის წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში გასულ კვირასთან შედარებით ლიდერი შეიცვალა. პირველ ადგილზე გადაინაცვლა ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა, რომელსაც 1918 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა რუსი მარია შარაპოვა — 1699 ქულა, ხოლო მესამეზე — სერენა უილიამსი (აშშ) — 1597.

საერთო ჩათვლაშიც დევენპორტი ლიდერობს — 5184.



მის გარდა, პირველ სამეულში ასევე შედიან: შარაპოვა — 4892, მორესმო (საფრანგეთი) — 4808.

ვაჟთა შორის წლევანდელ სეზონში პირველ ადგილზეა შვეიცარიელი როჯერ ფედერერი 450 ქულით. მეორეზეა ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი — 253 და რუსი მარატ საფინი — 215.

საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფ ფედერერს 6515 ქულა აქვს, ლეიტონ ჰიუიტს — 4270, ხოლო მესამე ადგილზეა ამერიკელი ენდი როდიკი — 3460.

## ...და მზად არის საფრანგეთში გამარჯვებისათვის

ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა, რომელმაც ორი დღის წინ ამელია — აილენდეს საჩოგბურთო ტურნირი მოიგო, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მზად არის, ასევე გამარჯვებისათვის იბრძოლოს საფრანგეთის ღია პირველობაზე..

## ითამაშებს რობერტ ფიშერი?

**ჭადრაკში მსოფლიო ექსჩემპიონი რობერტ ფიშერი, რომელმაც ახლახან ისლანდიის მოქალაქეობა მიიღო, მიიწვიეს ბულგარეთში საჭადრაკო ტურნირში, ეს შეჯიბრება 11-23 მაისს სოფიაში ჩატარდება.**

**„ჩვენ უკვე გავუგზავნეთ ოფიციალური მოსაწვევი ფიშერს“, — განაცხადა ბულგარული ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სილვიო დანაილოვმა.**

**ფიშერის გარდა სოფიის საჭადრაკო ტურნირში მიწვეულები არიან ვესელინ ტოპალოვი, ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, იუდიტ პოლგარი, რუსლან პონომარიოვი, მაიკლ ადამსი და სხვები.**

## ბელმონდო ოლიმპიური თამაშებისთვის დაბრუნდება

იტალიის მეთხილამურეთა ნაკრები ემზადება 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის, რომელსაც გაისად ტურინი უმასპინძლებს. იტალიელთა გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შემადგენლობაში ჩარიცხოს 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი სტეფანია ბელმონდო.

იტალიის მეთხილამურეთა ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია: ვაჟები — პიეტრო პილერ კოტრერი, ჯორჯიო დი ჩენტა, ფულვიო ვალ ბუზა, კრისტიან ძორძი, ფაბიო სანტუსი, ფრედი შვენბახერი, ვალერიო ჩეჩი, ტომას მორიგლი, როლანდ კლარა, რენატო პაზინი, ფაბიო პაზინი; ქალები — გაბრიელა პარუცი, სტეფანია ბელმონდო, საბინა ვალბუზა, ანტონელა კონფორტოლა, არიანა ფოლისი, კრისტინა კელდერი.

## ეკლსტოუნი: „ალონსო ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტია“



**„ფორმულა 1“-ის ხელმძღვანელი ბერნი ეკლსტოუნი მიიჩნევს, რომ ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო წლევანდელ სეზონში მსოფლიო ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატია.**

**„წლევანდელ ჩემპიონატში არიან პილოტები, რომლებსაც ძალუძთ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვან „ფერარის“ პილოტს მიხაელ შუმახერს. ასეთებად მე ალონსოს, რაიკონენსა და მონტოიას ვთვლი. ფერნანდო ალონსოს კი ცალკე გამოვყოფდი. ის სწრაფია და შეუძლია კარგად იმუშაოს რბოლის დროს პრესინგის პირობებში. მისი ბრწყინვალე ასპარეზობა წლევანდელ სეზონში მაგონებს რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს, როცა მიხაელ შუმახერი გამოჩნდა“, — ამბობს ეკლსტოუნი.**

## ტიტული შეინარჩუნა

აშშ-ის ტეხასის შტატის ქალაქ ელ-პასოში ჩატარდა პროფესიული კრივის საღამო, რომლის მთავარი ნაწილი იყო ვბს-ს ვერსიით მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონი ანტონიო ბარერასა და ამ ტიტულის მაძიებელი სამხრეთაფრიკელ მზოკე ფანოს შორის ორთაბრძოლა. მეორე რაუნდში ბარერამ მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა..

თარიღი

## გარი კასპაროვი 42 წლისაა



**13 აპრილს დაბადებიდან 42 წელი უსრულდება ცნობილ მოჭადრაკეს, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონს გარი კასპაროვს. შეგახსენებთ, რომ ბაქოელმა მოჭადრაკემ მსოფლიო ჩემპიონობა ანატოლი კარპოვთან გამართულ უძნელეს „საუკუნის მატჩში“ გამარჯვებით მოიპოვა. ამ ცოტა ხნის წინ კასპაროვმა სენსაციური განცხადება გააკეთა დიდი ჭადრაკიდან წასვლასთან დაკავშირებით.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




### 12 აპრილი, სამშაბათი

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** „არქივი“: დოკ. ფილმი „ალექსანდრე ჩივაძე“, „ფეხბურთი უბურთოდ“, „მატჩის დირიჟორი“ (15.30); **რუსთავი-2.** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა (15.25); საფეხბურთო მიმოხილვა (22.00), ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერნი“ — „ჩელსი“ (22.45), მიმოხილვა (1.00), „ინტერი“ — „მილანი“ (2.00); *НТВ.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია“ — „ჩელსი“. პირდაპირი ტრანსლაცია (22.35); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.45, 19.10), განვლილი კვირის „ჰიტ-პარადი“ (13.00), საფრანგეთის (14.45), ესპანეთის (16.00), რუსეთის (17.40), ლიბერტადორესის თასის (18.40), იტალიის (19.30), ინგლისის (20.25), გერმანიის (21.20) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა; ჩეპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: გერმანიის „ბავარია“ — „ინგლისის „ჩელსი“. საპასუხო მატჩი. პირდაპირი (22.20), იტალიის „ინტერი“ — იტალიის „მილანი“. საპასუხო მატჩი (0.35); კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00). *НТВ плюс спорт.* სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში (11.45), სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (14.45), თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები 60 კგ. 74 კგ. 96 კგ. პირდაპირი ტრანსლაცია (18.55), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ მონტე-კარლოში (22.10), სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (0.30). EUROSPORT. ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. დიდი ბრიტანეთი. ბედნიერი საათი (11.00, 14.30, 16.30, 17.30, 18.30, 19.30, 21.00), ევროგოლები (13.00, 15.30); კრივი. პროფესიონალები (22.00, 23.00); ევროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15); რალი. მსოფლიო თასი. ახალი ზელანდია (2.15); *НТВ плюс online.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“. პირდაპირი (13.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი იტალიის „ინტერი“ — იტალიის „მილანი“. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.35).

### 13 აპრილი, ოთხშაბათი

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (22.00), „იუვენტუსი“ — „ლივერპული“ (22.45), მიმოხილვა (1.00), „ეინდჰოვენი“ — „ლიონი“ (2.00); *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: მეოთხედფინალები. „ბავარია“ — „ჩელსი“. საპასუხო მატჩი (12.20), „ინტერი“ — „მილანი“ (16.20), „იუვენტუსი“ — „ლივერპული“ (22.20), პსვ — „ლიონი“ (0.35); იტალიის (14.15), ინგლისის (15.10), ლიბერტადორესის თასის (18.15), გერმანიის (18.45) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა; ჰოლანდიის ჩემპიონატი. „აიაქსი“ — „აზ-67“ (20.05), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.50); კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00). *НТВ плюс спорт.* თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები 60 კგ. 74 კგ. 96 კგ. (10.45), თ. ჭ. ევრ. ჩემპ. — 55 კგ. 66 კგ. 84 კგ. 120 კგ (18.55); სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (16.25, 0.30), სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი (17.45), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ (21.30), საცხენოსნო სპორტი. ლონდონის სტიპლჩეისი (23.00); EUROSPORT. ველოსპორტი. ბასკების ქვეყნის ტური (18.30); ფეხბურთი: გოლი! (19.30); უეფას თასი. ჩეხეთი (20.15), ყველაფერი სპორტზე. ყოველკვირეული მიმოხილვა ოთხშაბათობით (2.45), ევროსპორტის ახალი ამბები (3.15). *НТВ плюс online.* ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“ (13.30), ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პსვ — „ლიონი“. საპასუხო მატჩი (22.35), ლიბერტადორესის თასი. ბრაზილიის „სან-პაულო“ — არგენტინის „კილმესი“ (4.40).

### 14 აპრილი, ხუთშაბათი

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25); *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.50, 19.40); ლიბერტადორესის თასი: ბრაზილიის „სან-პაულო“ — არგენტინის „კილმესი“ (12.20, 23.30); ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალები: პსვ — „ლიონი“ (14.00), „იუვენტუსი“ — „ლივერპული“ (17.55); საფრანგეთის (16.05), ესპანეთის (17.00) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩების მიმოხილვა (20.40); რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.30); კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00). *НТВ плюс спорт.* თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 55 კგ. 66 კგ. 84 კგ. 120 კგ. წონის კატეგორიაში (10.45), სუპერკროსი პარიზის სპორტის სასახლე „ბერსიში“ (13.15), სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (16.25), „ატრ“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (18.00), ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში ქალთა შორის. ფინალები: 48 კგ, 55კგ. 63 კგ. 72 კგ. წონით კატეგორიებში (18.55), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.55), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს“. მონტე-კარლო (23.25); EUROSPORT. ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (11.15, 16.15, 0.30), ყველაფერი სპორტზე (13.00), ველოსპორტი. ბასკეთის ქვეყნის ტური (18.00), რალი. მსოფლიო თასი (19.30), კრივი. პროფესიონალები (23.00), ევროსპორტის ახალი ამბები (0.15), ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. დიდი ბრიტანეთი (2.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. იტალიის საფეხბ. კლუბი, 5. მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბრაზილიელი მცველი მს. ჩემპიონი (1958, 1962), 8. ინსაიდი ანუ... 9. შეჯიბრების, რბოლის მონაკვეთი, 10. ტანვარჯიშული იარაღი, 12. ზაფხულის XXII ოლ. თამაშების მასპინძელი ერთ-ერთი ქალაქი, 13. რიტმული მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა, 15. ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სახელი, 16. „შალკეს“ ფეხბურთელი, 21. თბილისის სტუდენტთა საკალათბურთო გუნდი შემოკლებით, 22. ლეგენდარული ვეტერანი იაპონელი ძიუდოისტი, 23. საჩოგბურთო ინვენტარი, 24. ნიჩბოსნობის ინვენტარი.

**შვეულად:** 1. ყველაზე მაღალი სპორტული შედეგი, 2. დისტანცია ანუ... 3. კასიუს კლეის პირველი მწვრთნელი, თავად ლეგენდარული მოკრივე, 4. საჭადრაკო სარბიელი, 5. იტალიის საფეხბ. კლუბი, 6. წარსულში ცნობილი უნგრელი ძალოსანი, მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი XX საუკუნის 60-იან წლებში, 7. ზამთრის XI ოლ. თამაშების მასპინძელი ქალაქი, 11. ცნობილი მოჭადრაკე დანიელი დიდოსტატი, ბენტ... 12. ცნობილი საბჭოთა (ბალტიისპირეთიდან) ძალოსანი, 14. სპორტში დახელოვნებული, 17. გაზაფხულის თვე, 18. ბავშვთა საფეხბ. სკოლა თბილისში, 19. კარატეს ერთ-ერთი პროგრამა, 20. „თბილისის“ ლეგიონერი ფეხბურთელი.




**მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 2. რაკიტა, 4. ტანდემი, 7. კროში, 9. სალნიკოვი, 13. ონილი, 16. „ლუვიე“, 18. ნასიბოვი, 21. ნავასარდოვი, 23. ჩოხელი, 25. „აია“, 26. კურტანი, 28. როგი, 29. კავკასიონი, 30. რაუ.

**შვეულად:** 1. ფრე, 2. „რეინჯერსი“, 3. კეგლი, 5. ალი, 6. დრო, 8. პლატონი, 10. კორტი, 11. ვარდო, 12. კოლინა, 14. კორია, 15. „ქვევრი“, 17. ბრაუნი, 19. სიო, 20. ბუერი, 22. ვიალი, 23. ჩირი, 24. „იუტა“, 25. ალა, 27. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. პიპა
(1977 წ.)




შამათი 3 სვლაში

№26-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: ლხ3! –2. ლd1X
1. ..... ლ:e3 2. მe7X, 1. ..... ე:e3 2. მf6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე